

ქსავის მართვის ინდივიდუალური შემთხვევების განხილვა

გზამკვლევი მასწავლებლებისთვის



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო

გზამკვლევი მუშაობდნენ:

ავტორები:

თამარ მუშლაძე, კიროვნების ფსიქოდიაგნოსტიკის მაგისტრი,
ფსიქოლოგი

ნინო მიქაია, განათლების ადმინისტრირების მაგისტრი, ფსიქო-
ლოგი

თამთა საამიშვილი, ფსიქოლოგიური შეფასების, დიაგნოსტიკები-
სა და კონსულტირების მაგისტრი, ფსიქოლოგი

კონსულტანტი:

თამარ ისაყაძე, ფსიქოლოგიის მაგისტრი, საქართველოს განათ-
ლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულ-
ტიდისციპლინური გუნდის კოორდინატორი

იდეის ავტორი:

ეკატერინე დგებუაძე, საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განვითარების
სამმართველოს უფროსი

კორექტორი:

მარიამ ბადიანაშვილი

დიზაინერი:

მარიამ ჭიჭავაძე

დამკაბადონებელი

კესო მამფორია

გზამკვლევი შექმნილია საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურის და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური სწავლების
ხელშეწყობის პროგრამის საინფორმაციო და მეთოდოლოგიური
მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში

2018

სარჩევი

თავი 1.

1.1. რთული ქცევის მქონე მოსწავლესთან მუშაობა	7
1.2. ქცევის შეფასება	9
1.3. ჩარევის გეგმის შედგენა და განხორციელება	22

თავი 2. ქცევის მართვის ინდივიდუალური შემთხვევის აღწერები

შემთხვევა N1	29
შემთხვევა N2	38
შემთხვევა N 3	47
შემთხვევა N 4	53
შემთხვევა N 5	60
შემთხვევა N 6	68
შემთხვევა N 7	72

შესავალი

წინამდებარე გზამკვლევის მიზანია სკოლის პერსონალის ინფორმირება მოსწავლეების მიერ გამოვლენილი ქცევითი სირთულეების მართვის მეთოდოლოგიისა და სტრატეგიების შესახებ. გზამკვლევი აღწერს საკლასო გარემოში ქცევის მართვის პროცედურებსა და ინდივიდუალურ შემთხვევებს.

გზამკვლევაში წარმოდგენილი ინფორმაცია სკოლის პერსონალს დაეხმარება მოსწავლეების მიერ გამოვლენილი არასასურველი ქცევების იდენტიფიცირებასა და ქცევის მართვის მიზნით განსახორციელებელი ნაბიჯების თანმიმდევრულად განსაზღვრაში. ეს გულისხმობს, შესაბამისი მეთოდოლოგიით, მოსწავლის ქცევის შეფასებასა და მიღებული შედეგების საფუძველზე ჩარევის ინდივიდუალური სტრატეგიების განსაზღვრას.

გზამკვლევაში აღწერილი პროცედურები ეფუძნება ქცევის გამოყენებითი ანალიზის პრინციპებს და ასახავს სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეთა მიერ გამოვლენილი ქცევითი სირთულეების მართვას.

აღსანიშნავია, რომ გზამკვლევაში წარმოდგენილია ქცევითი სირთულეების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის ნიმუშები. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არ იქნება მიზანშეწონილი აღწერილი პროცედურების ზედმიწევნით ზუსტად გამოყენება, რადგან ყველა მოსწავლის შემთხვევა ინდივიდუალურია.

თავი 1.

1.1. რთული ქცევის მქონე მოსწავლესთან მუშაობა

ბავშვის მიერ რთული ქცევის გამოვლენაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. ზოგიერთი ბავშვი სკოლაში ჩარიცხვისას უკვე შეიძლება ავლენდეს რთულ ქცევებს, ზოგმა კი შესაძლოა მოგვიანებით, სწავლების ნებისმიერ საფეხურზე გამოავლინოს.

სასკოლო გარემოში გამოვლენილი რთული ქცევის მართვა სკოლის პერსონალის მიერ წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიით მუშაობას მოითხოვს.

სასკოლო გარემოში, ქცევის მართვა მოიცავს როგორც პრევენციული ღონისძიებების გატარებას, ასევე, ინდივიდუალურ შემთხვევებში ინტერვენციის განხორციელებას. პრევენციული ღონისძიებების მიზანია, სასწავლო გარემოს ისე ორგანიზება, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მოსწავლეების მიერ არასასურველი ქცევების გამოვლენა. ამის მაგალითია: სასკოლო და საკლასო წესების შემუშავება, ფიზიკური გარემოს ორგანიზება, სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობა და ა.შ. ხოლო ინტერვენციის აუცილებლობა დგება მაშინ, როდესაც:

- ☑ პრევენციული ღონისძიებების გატარება საკმარისი არ არის
- ☑ მოსწავლის მიერ რთული ქცევის გამოვლენა მკვეთრად ნეგატიურ გავლენას ახდენს თავად ბავშვზე ან/და გარშემომყოფებზე.

ინდივიდუალურ შემთხვევებში ქცევის მართვის პროცესი მრავალი კომპონენტისგან შედგება და, როგორც წესი, მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

- ☑ ქცევითი სირთულის იდენტიფიკაცია
- ☑ ჩამანაცვლებელი ქცევის განსაზღვრა
- ☑ დადებითი განმამტკიცებლის გამოყენებით სასურველი ქცევის გაზრდა
- ☑ ქცევაზე ნეგატიურად მოქმედი გარემო ფაქტორების შემცირება.



რთული ქცევის მართვის პროცესში მნიშვნელოვანია ჩართული იყოს როგორც ფსიქოლოგი, ასევე სპეციალური

მასწავლებელი, კლასის ხელმძღვანელი, საგნის მასწავლებლები და მშობლები/ბავშვზე ძირითადი მზრუნველი პირები.

ქცევის მართვის საწყის ეტაპზე უნდა განისაზღვროს პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი. ეს შეიძლება იყოს ფსიქოლოგი ან სპეციალური მასწავლებელი. იგი ახდენს პროცესის ორგანიზებას:

- ✓ ანაწილებს ჩართული პირების როლს;
- ✓ ორგანიზებას უკეთებს შეხვედრებს;
- ✓ უწევს მასწავლებლებსა და გუნდის სხვა წევრებს კონსულტაციას როგორც შეფასების პროცედურებთან, ასევე კონკრეტული სტრატეგიების გამოყენებასთან დაკავშირებით;
- ✓ გუნდის წევრებთან ერთად ახდენს მოსწავლის ქცევის შეფასების ანალიზს და იმუშავებს რთული ქცევის შემცირების სტრატეგიას;
- ✓ მონიტორინგს უწევს ინტერვენციის მიმდინარეობას.

1.2. ქცევის შეფასება

ქცევაზე მუშაობის პირველ ეტაპს შეფასება წარმოადგენს. შეფასებისას ხდება ქცევასთან დაკავშირებული ფაქტორების შესახებ მონაცემების შეგროვება და, მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, ქცევის მართვის სტრატეგიების განსაზღვრა.

ქცევის შეფასებისთვის გამოიყენება შეფასების, როგორც პირდაპირი (ქცევის სხვადასხვა მახასიათებელზე პირდაპირი დაკვირვება), ასევე, არაპირდაპირი მეთოდები. (ინტერვიუ ბავშვის ძირითად მზრუნველთან, კლასის ხელმძღვანელთან და ბავშვთან დაკავშირებულ სხვა პირებთან, წერილობითი დოკუმენტაციის ანალიზი).

როგორც წესი, შეფასების პროცედურა იწყება იმ პირთან ინტერვიუთი, რომელთანაც ვლინდება ქცევითი სირთულე ან/და რომელიც ყველაზე მეტ ინფორმაციას ფლობს მოსწავლის შესახებ.

ქვემოთ მოცემულია პუნქტები, რომელთა შესახებაც უნდა მოხდეს ინტერვიუს მსვლელობისას ინფორმაციის მიღება.

 **შენიშვნა:** ქვემოთ მოცემული საკითხების შესახებ ინფორმაცია, ქცევის მართვაზე პასუხისმგებელმა პირმა, შესაძლოა, სხვადასხვა რესპონდენტისგან მიიღოს. მაგალითად, კონკრეტული საგნის მასწავლებლისგან, მშობლისგან და სხვ.

 პრობლემის იდენტიფიკაცია - რა ფორმით ვლინდება რთული ქცევა და რატომ არის ის ხელისშემშლელი თავად ბავშვისთვის ან გარემომცხოვრებლისთვის.

 სხვა პრობლემები - გარდა ბავშვის მიერ გამოვლენილი რთული ქცევებისა, ხომ არ აღენიშნება ბავშვს სხვა სირთულეებიც.

 პრიორიტეტების გამოკვეთა - მნიშვნელოვანია, ინტერვიუს შედეგად, მივიღოთ ინფორმაცია, თუ რომელი რთული ქცევის შემცირებას ისურვებდა, პირველ რიგში, რესპონდენტი. მაგალითად, თუ რესპონდენტი არის კლასის ხელმძღვანელი, რომელმაც პრობლემის იდენტიფიცირებისას ისაუბრა ბავშვის მიერ გამოვლენილ რამდენიმე ქცევაზე: გაკვეთილზე საუბარი, მერხის დაკაწვრა და ხელზე კანის წიწკვნა. მას უნდა ვთხოვოთ, განსაზღვროს ზემოთ ჩამოთვლილი სამი ქცევიდან, რომელზე მუშაობის დაწყება მიაჩნია პრიორიტეტულად.

 ასევე, მნიშვნელოვანია მოვიპოვოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რისი შეცვლა სურს რესპონდენტს, რომელი ქცევებით ჩანაცვლებას ისურვებდა იგი.

 ინტერვიუს პროცესში მიღებული ინფორმაცია შესაძლოა, დაგვეხმაროს ბავშვის ძლიერი მხარეების განსაზღვრასა და მისი პირადი ინტერესების დადგენაში, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება შეირჩეს კონკრეტული ბავშვისთვის განმამტკიცებლები.

ბავშვთან დაკავშირებული პირებისგან ინფორმაციის მიღების შემდეგ, მნიშვნელოვანია ქცევის მართვაზე პასუხისმგებელმა პირმა განახორციელოს ქცევაზე პირველადი დაკვირვება - ბავშვზე დაკვირვების განხორციელება იმ გარემოში, სადაც მისი ქცევა აღიქმება პრობლემურად.

რად. მაგალითად, თუკი მათემატიკის მასწავლებელმა გააკეთა მიმართვა სპეციალურ მასწავლებელთან, კონკრეტული მოსწავლის მიერ მის გაკვეთილზე რთული ქცევის გამოვლენასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, პირველადი დაკვირვება განხორციელდეს მათემატიკის გაკვეთილზე. პირველადი დაკვირვების საშუალებით დაზუსტდება, თუ რა ფორმით ვლინდება ქცევა და რამდენად არის ის ხელისშემშლელი სასწავლო პროცესისთვის.

პირველადი დაკვირვების განხორციელების შემდეგ, უნდა შემუშავდეს ქცევის განმარტება და განისაზღვროს არასასურველი ქცევების ჩამონათვალი.

ქცევის განმარტება გულისხმობს მოსწავლის მიერ გამოვლენილი არასასურველი ქცევის აღწერას მარტივი, არაშეფასებითი სიტყვების გამოყენებით.

არასწორად ფორმულირებული ქცევითი განმარტება	სწორად ფორმულირებული ქცევითი განმარტება
<u>ნინო აგრესიულია თანატოლების მიმართ</u>	<u>ნინო თანატოლებს ხელს ურტყამს</u>
აღნიშნული განმარტება ძალიან ბუნდოვანია და არ გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, კონკრეტულად რა სახის არასასურველ ქცევას ავლენს ნინო.	პირველისგან განსხვავებით, მეორე შემთხვევაში, ძალიან ცხადი და თვალსაჩინოა, თუ რა ფორმით ვლინდება ქცევა

ქცევის სპეციფიკური განმარტების შემუშავება ზუსტი ინფორმაციის მიღებისთვის მნიშვნელოვანია. ბუნებრივია, ქცევის შეფასება მხოლოდ პირველადი დაკვირვებით არ შემოიფარგლება. საჭიროა, ქცევაზე დაკვირვება სხვადასხვა გარემოში, რათა განისაზღვროს თუ რა ფაქტორები ახდენს მასზე გავლენას. ქცევის ბუნდოვანი, ზოგადი განმარტება დამაბნეველი შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც დამკვირვებლისთვის, ასევე, გუნდის სხვა წევრებისთვის.

ქცევის ნათელი განმარტების შემუშავების შემდეგი ეტაპია ჩამანაცვლებელი, სასურველი ქცევის შერჩევა. ჩამანაცვლებელია ქცევა, რომელიც ბავშვმა არასასურველი ქცევის ნაცვლად უნდა გამოავლინოს. რთული ქცევის შემცირება შესაძლებელია ახალი, სოციალურად მისაღები ქცევის სწავლებით.

არასასურველი ქცევები	სასურველი, ჩამანაცვლებელი ქცევები
არ ასრულებს საშინაო დავალებას მათემატიკის საგანში	საშინაო დავალების შესრულება
ხელის აწევის გარეშე წამოიძახებს პასუხს	ხელს იწევს და შემდეგ ამბობს პასუხს

ჩამანაცვლებელი ქცევის განსაზღვრა განსაკუთრებულ ყურადღებასა და გუნდის თითოეული წევრის ჩართულობას მოითხოვს, რადგან მოსწავლესთან მუშაობა აღნიშნული ქცევის სწავლების მიზნით უნდა დაიგეგმოს.

ცხრილის სახით მოცემულია მოსწავლის არასასურველი ქცევის იდენტიფიკაციის ნიმუში:

მოსწავლის სახელი, გვარი: ბექა მ.

კლასი: მე-6 კლასი

აღწერეთ რა სახის ქცევას ავლენს ბავშვი. კონკრეტულად განსაზღვრეთ ის ისე, რომ სხვა ადამიანებმა მარტივად ამოიცნონ დასაკვირვებელი ქცევა

გაკვეთილის მსვლელობისას ბექა ფეხზე დგება, მერხებს შორის დადის და ნებართვის გარეშე იღებს სხვების ნივთებს

განსაზღვრეთ, თუ რატომ არის ქცევა რთული

ბექას ქცევა ხელს უშლის საგაკვეთილო პროცესში როგორც მის, ასევე, თანაკლასელების ჩართულობას.

ამასთანავე, აღნიშნული ქცევა მას ხელს უშლის თანატოლებთან ურთიერთობაში - ზოგიერთი თანაკლასელისთვის განსაკუთრებით მიუღებელია ბექას მიერ გამოვლენილი ქცევა, რასაც ისინი გამოხატავენ როგორც ნეგატიური კომენტარებით, ასევე, დასვენებებზე ცდილობენ არ დაამყარონ კონტაქტი მასთან. შესაბამისად, მოსწავლის მიერ გამოვლენილი ზემოთ აღნიშნული ქცევა მას ასაკის შესაფერისი სოციალური ურთიერთობების დამყარებაშიც უშლის ხელს.

განსაზღვრეთ, ამ ქცევის ნაცვლად, რა ქცევის გამოვლენას ისურვებდით

ნაცვლად ნებართვის გარეშე ფეხზე წამოდგომისა და მერხებს შორის სიარულისა, სასურველია, თუკი ბექა შეასრულებს მასწავლებლის მითითებას და ჩართული იქნება მიმდინარე აქტივობაში

აღწერეთ, თუ როგორ მოახდენთ მოსწავლის მიერ გამოვლენილი რთული ქცევის გამოშვას

მოხდება რთული ქცევის სიხშირის და ხანგრძლივობის შეფასება, ანუ, გაკვეთილის მსვლელობისას რამდენჯერ დგება ფეხზე და რამდენი ხნის განმავლობაში დადის მერხებს შორის

ქცევის მახასიათებლებია სიხშირე, ინტენსივობა და ხანგრძლივობა. მახასიათებლებზე დაკვირვება გვაძლევს ინფორმაციას, თუ რამდენჯერ, რა ხანგრძლივობითა და სიძლიერით ავლენს მოსწავლე რთულ ქცევას.

ქცევის სიხშირის დასადგენად ხდება დროის კონკრეტულ მონაკვეთში, მაგალითად, გაკვეთილის, შესვენების, დღის განმავლობაში ქცევის ყოველი გამოვლენის აღრიცხვა.

 **მაგალითად, გიორგიმ გაკვეთილის მსვლელობისას ხელის აწევის გარეშე 3-ჯერ წამოიძახა პასუხი.**

ქცევის გამოვლენის სიხშირის აღრიცხვის ბლანკის ნიმუში ერთი კვირისთვის

მოსწავლის სახელი, გვარი: გიორგი					
დასაკვირვებელი ქცევა: გაკვეთილის მსვლელობისას სხვა მოსწავლეს ვესვრის კალამს					
	ორშაბათი	სამშაბათ	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
მათემატიკა	3	2	3	2	2
ქართული ენა და ლიტერატურა	2	2	4	3	2
ბუნება	1	-	2	-	1

ქცევის მართვის სტრატეგიის განსაზღვრამდე, მნიშვნელოვანია ქცევის მახასიათებლებზე დაკვირვება და მისი ფუნქციის განსაზღვრა.

ქცევის ხანგრძლივობის დასადგენად ხდება განსაზღვრა, თუ რამდენ ხანს გრძელდებოდა ის.

 **მაგალითად, თამარი 5 წუთის განმავლობაში დადი-
ოდა მერხებს შორის.**

ქცევის ინსტენსივობის გასაზომად კი ხდება იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ძლიერად ვლინდებოდა ქცევა.

 **მაგალითად, ნინო იმდენად ხმამაღლა ყვირის, რომ
გვერდით არსებულ საკლასო ოთახში ისმის მისი ხმა.**



მახასიათებლებზე ინფორმაცია, ერთი მხრივ, წარმოადგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ რამდენად ხელისშემშლელია ქცევა მოსწავლისთვის და გარემოსთვის. მეორე მხრივ, კი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ინტერვენციის პროგრესი. მაგალითად, თუკი ინტერვენციამდე მოსწავლე მათემატიკის გაკვეთილზე საშუალოდ 3-ჯერ ესროდა კალამს თანატოლს, მუშაობის დაწყების შემდეგ ანალოგიურ ქცევას ერთხელ ავლენს.

გასათვალისწინებელია, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, ქცევის სამივე მახასიათებელზე დაკვირვება შეიძლება არ იყოს საჭირო.

შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროცედურას ქცევაზე ABC მოდელის მიხედვით დაკვირვება წარმოადგენს. ამ მოდელის საშუალებით, შესაძლებელია ქცევის წინაპირობისა და მისი თანმდევი შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღება. მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით კი განისაზღვრება ქცევის ფუნქცია, ანუ რის მიღებას ცდილობს ბავშვი არასასურველი ქცევით.

წინაპირობა არის ნებისმიერი მოვლენა, რომელიც წინ უსწრებს ქცევას. ქცევის წინაპირობა შეიძლება იყოს: კონკრეტული აქტივობა, მაგალითად, კარნახით წერა.

შედეგი არის მოვლენა, რომელიც მოჰყვება ქცევას. ქცევის შედეგი შეიძლება იყოს: მასწავლებლის რეაგირება, როგორც პოზიტიური (შექება, გადიმება), ასევე ნეგატიური (შენიშვნის მიწოდება); თანატოლების ყურადღება. მოზრდილის მიერ ბავშვის გამოვლენილი ქცევის იგნორირება ქცევის თანმდევ ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს. ის, თუ რა მოყვება ქცევას შედეგად, ანუ ბავშვისთვის სასურველია შედეგი, თუ არასასურველი, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მომავალში ამ ქცევის გამოვლენის ალბათობას.

ქვემოთ მოცემულია ABC მოდელის მიხედვით დაკვირვების ფორმის ნიმუში

მოსწავლის სახელი, გვარი: დამკვირვებელი: დაკვირვების თარიღი: დაკვირვების ადგილი: დასაკვირვებელი ქცევა (არასასურველი ქცევა, რომელსაც ვაკვირდებით):		
წინაპირობა (ნებისმიერი მოვლენა, რომელიც წინ უსწრებს ქცევას)	ქცევა (ქცევის დეტალური აღწერა)	შედეგი (ნებისმიერი მოვლენა, რომელიც მოსდევს ქცევას)
ქართულის გაკვეთილზე მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს: ამოიღეთ რვეული და გადაშალეთ საშინო დავალების გვერდზე.	მოსწავლე იწყებს მერხზე კალმის კაკუნს და თან იყურება გარშემო	მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს დადოს კალამი
გეოგრაფიის გაკვეთილზე, მასწავლებელი ხსნის ახალ მასალას	მოსწავლე იმზორება, აცხადებს, რომ დაიღალა და გარეთ სურს გასვლა	მასწავლებელი მას ეუბნება, რომ ის გაკვეთილზე უნდა დარჩეს და მისთვის საინტერესო თემაზე საუბარს სთავაზობს

ქცევის მართვის გუნდი სკოლის გარემოში რთული ქცევის წინაპირობასა და შედეგს სხვადასხვა სიტუაციაში უნდა დააკვირდეს, როგორიცაა გაკვეთილი, შესვენება, ბუფეტი და სხვა.

ABC მოდელის მიხედვით ჩანაწერის განხორციელების ხანგრძლივობა დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე. ერთ შემთხვევაში შესაძლოა ერთი კვირის განმავლობაში, დღეში ორჯერ ჩანაწერის გაკეთება სრულიად საკმარისი აღმოჩნდეს საჭირო ინფორმაციის მიღებისთვის. მეორე შემთხვევა, კი შესაძლოა უფრო ხანგრძლივი დროის (მაგალითად, სამი კვირა, ერთი თვე) განმავლობაში მოითხოვდეს ჩანაწერების წარმოებას.

გახსოვდეთ, რომ ჩანაწერები უნდა აწარმოოთ ვიდრე არ დადგინდება თუ ყველაზე ხშირად რა მოვლენა უსწრებს ქცევას და ასევე, რა წარმოადგენს ქცევის ყველაზე ხშირ, დამაჯილდოვებელ შედეგს.

ქცევის წინაპირობასა და შედეგზე დაკვირვების წარმოების შემდეგ, გუნდის წევრებმა მიღებულ ინფორმაცია უნდა გაანალიზონ:

- ☒ დღის რომელ მონაკვეთში, რომელ გაკვეთილზე, რომელი აქტივობისას ავლენს მოსწავლე რთულ ქცევას - მაგალითად, დღის მეორე ნახევარში, გეოგრაფიის გაკვეთილზე, მცირე ჯგუფში მუშაობისას.
- ☒ ყველაზე ხშირად რომელ პირებთან ავლენს მოსწავლე რთულ ქცევას - მაგალითად, სპეციალურ მასწავლებელთან, რესურს ოთახში ინდივიდუალური მუშაობის დროს.
- ☒ რა მოვლენა უსწრებს მოსწავლის მიერ რთული ქცევის გამოვლენას წინ - მასწავლებლის მიერ მოსწავლესთვის მიწოდებული ინსტრუქციის შემდეგ: „გთხოვ, ხმამაღლა წაიკითხე ტექსტი“.
- ☒ რა რეაგირება მოყვება მოსწავლის მიერ რთული ქცევის გამოვლენას გარემოში - მაგალითად, მასწავლებელი შენიშვნას აძლევს მოსწავლეს, სხვა მოსწავლეები იწყებენ

სიცილს ან აკეთებენ კომენტარებს მოსწავლის მიერ გამოვლენილ ქცევასთან მიმართებაში.

☒ რა არის მოსწავლის მიერ გამოვლენილი რთული ქცევის მიზეზი/ფუნქცია - თანაკლასელების ან მასწავლებლის ყურადღების მიღება, დავალების შესრულებისგან თავის არიდება და ა.შ.

მიჩნეულია, რომ რთული ქცევის გამოვლენა ორ ძირითად მიზანს ემსახურება

სასურველის მიღება:

ბავშვი კონკრეტული ქცევის გამოვლენით ცდილობს მიიღოს მისთვის სასურველი ნივთი (მაგალითად, თანატოლის კუთვნილი კალამი, სათამაშო და ა.შ.)

ყურადღება (მაგალითად, მშობლების, მასწავლებლის, თანატოლების ყურადღება)

სენსორული სტიმულაცია - ისეთი ქცევის განხორციელება, რომელიც ბავშვისთვის სასურველ შეგრძნებებს იწვევს. მაგალითად, სკამზე წინ და უკან რწევა და ა.შ.)

სხვა - კონკრეტულ შემთხვევაში მოსწავლის მიერ გამოვლენილი არასასურველი ქცევა შესაძლოა სხვა მისთვის მნიშვნელოვანი სტიმულის მიღებას ემსახურებოდეს

არასასურველის თავიდან არიდება

ბავშვი ცდილობს თავი აარიდოს კონკრეტულ აქტივობას (მაგალითად, ჯგუფში მუშაობისგან თავის არიდება), ადამიანს და სხვ.

ქვემოთ მოცემულია შეფასების შედეგების ანალიზის ფორმის ნიმუში

მოსწავლის სახელი, გვარი: დასაკვირვებელი ქცევა:	
კვირის, დღის, აქტივობის რომელ მონაკვეთში ვლინდება ქცევა ყველაზე ხშირად	
რომელ გარემოში, გაკვეთილზე ვლინდება ყველაზე ხშირად ქცევა?	
ქცევის ყველაზე გავრცელებული წინაპირობები	
ქცევის ყველაზე ხშირი თანმდევი შედეგები	
ქცევის მიზეზი/ფუნქცია	* ყურადღების მიღება * თავიდან არიდება * სასურველ აქტივობაზე ხელმისაწვდომობა * სხვა.

 **სსოვდეთ:** არასასურველი ქცევის გამოვლენისგან თავის არიდება შესაძლებელია წინაპირობის შეცვლით. წინაპირობის შეცვლა განსაკუთრებით ეფექტურია ისეთ შემთხვევებში, როდესაც ქცევის ფუნქცია უსიამოვნო აქტივობისგან (მაგალითად, გაკვეთილი, დავალება და სხვ.) თავის არიდებაა. ამ აქტივობის ცვლილებით შესაძლებელია ის აღარ იყოს მოსწავლისათვის ნეგატიური. შესაბამისად, ბავშვი აღარ გამოავლენს არასასურველ ქცევას.

არასასურველი ქცევის შემცირება შესაძლებელია თანმდევი შედეგის ცვლილებით - თუკი, არასასურველი ქცევის გამოვლენას მოჰყვებოდა ბავშვისთვის სასურველი შედეგი, უნდა მოხდეს მისი ცვლილება და შედეგი აღარ უნდა იყოს დამაჯილდოვებელი.

1.3. ჩარევის გეგმის შედგენა და განხორციელება

ქცევის მართვის გეგმა წერილობითი დოკუმენტია, რომელშიც ასახულია შეფასების შედეგები, ჩარევის სტრატეგიები, ჩართული პირები, ვადები და მონიტორინგის მექანიზმები. მნიშვნელოვანია, გეგმა შეთანხმებული იყოს გუნდის თითოეულ წევრთან და არსებობდეს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი დასტური მის განხორციელებასთან დაკავშირებით.

ჩარევის განხორციელებამდე, ქცევის მართვაზე პასუხისმგებელმა პირმა გუნდის სხვა წევრებთან ერთად უნდა განსაზღვროს ქცევის მართვის სტრატეგიები.

ახალი, სასურველი ქცევის სწავლების სტრატეგიის განსაზღვრისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა წარმოდგენს მოსწავლის მიერ არასასურველი ქცევის გამოვლენის მიზანს. თუკი ქცევის ფუნქციაა სასურველის (მაგალითად, ყურადღება, აღიარება, პრივილეგია) მიღება, სტრატეგია მიმართული უნდა იყოს იმაზე, რომ მოსწავლემ სასურველი მიიღოს სოციალურად მისაღები ქცევებით. მაგალითად, მასწავლებელმა სიტყვიერად აღნიშნოს მისი ქცევა, როდესაც ბავშვი ასრულებს ინსტრუქციას, დავალებას, პატივისცემით ექცევა თანაკლასელებს. თუკი, მოსწავ-

ლის არასასურველი ქცევის მიზანს უსიამოვნო მდგომარეობისგან (მაგალითად, გაკვეთილი, აქტივობა, კონკრეტული პიროვნება) თავის არიდება წარმოდგენს, დამატებით უნდა შეფასდეს მოსწავლის უნარები და განისაზღვროს, თუ რატომ არის აღნიშნული აქტივობა მოსწავლისთვის უსიამოვნო. მაგალითად, მოსწავლეს შესაძლოა ჰქონდეს ნატიფი მოტორული უნარის სირთულე, რის გამოც ის ცდილობს საგაკვეთილო პროცესში არასასურველი ქცევის გამოვლენით თავი აარიდოს წერილი დავალებების შესრულებას. ამ შემთხვევაში, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, თუ რა სირთულის წერილი დავალების შესრულება შეუძლია მოსწავლეს და მიეწოდოს მისი უნარების შესაბამისი დავალება. ასევე, მნიშვნელოვანია, ნატიფი მოტორული უნარის განვითარებაზე ბავშვთან ინდივიდუალური მუშაობა. ეს შესაძლებელია განხორციელდეს სპეციალური მასწავლებლის მიერ, რესურს ოთახში და მშობლის მიერ, სახლში.

დადებითი განმტკიცება

ქცევის მართვის გუნდის მიერ მოსწავლესთან სასურველი ქცევის სწავლება უნდა განხორციელდეს დადებითი განმტკიცების პროცედურის მეშვეობით. დადებითი განმტკიცების პრინციპის თანახმად, თუკი ადამიანის მიერ გამოვლენილ ქცევას მისთვის სასურველი შედეგი

მოყვება, ეს ზრდის მომავალში ამ ქცევის გამოვლენის ალბათობას. მაგალითად, თუ ბავშვი იცავს რიგს და მასწავლებელი აქებს მის მიერ გამოვლენილი ქცევის გამო, დიდი ალბათობით ის შემდგომშიც ეცდება რიგის დაცვას.

დადებითი განმამტკიცებელი კი არის კონკრეტული სტიმული, რომელიც თან ახლავს ქცევას და ზრდის მისი გამოვლენის ალბათობას. მნიშვნელოვანია, რომ ეს სტიმული იყოს ბავშვისთვის სასურველი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერ შეასრულებს განმამტკიცებლის ფუნქციას ანუ მომავალში მსგავსი ქცევის გამოვლენის ალბათობა არ გაიზრდება.

უნივერსალური განმამტკიცებელი არ არსებობს, რადგან ყველა ბავშვის სურვილები და ინტერესები განსხვავებულია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განმამტკიცებელი შერჩეული იყოს ინდივიდუალურად. მოსწავლისთვის განმამტკიცებელი შესაძლოა, შეირჩეს მასზე მზრუნველი პირებისგან მოსწავლის ინტერესების, სურვილების შესახებ ინფორმაციის მიღებით. ასევე, ბავშვზე უშუალოდ დაკვირვებითა და თავად მასთან კომუნიკაციით - მოსწავლემ შესაძლოა თავად მოგვაწოდოს ინფორმაცია, მისთვის სასურველი ჯილდოების შესახებ.

სასურველია, თუკი, ქცევის მართვის გუნდის მიერ მოხდება რამოდენიმე განმამტკიცებლის იდენტიფი-

ცირება. მაგალითად, რამდენიმე სახის აქტივობა, რომელიც ბავშვს მოსწონს; გადაცვლადი განმამტკიცებლის სახეობა - სტიკერები, ჟეტონები;

გახსოვდეთ, ქცევის შემცირების მიზნით დასჯის გამოყენება არ წარმოადგენს მიზანშეწონილ სტრატეგიას, რადგან ბავშვი დასჯის შედეგად, არათუ ვერ სწავლობს სოციალურად მისაღებ ქცევას, ამასთანავე ის იწვევს მასში ნეგატიურ ემოციებს.

სოციალური განმამტკიცებელი - შექება, გადიმება და ა.შ. ქცევის მართვის გუნდმა, კონკრეტული მოსწავლის შემთხვევის განხილვის საფუძველზე, გარდა სასურველი ქცევის სწავლებისას დადებითი განმამტკიცების პროცედურის გამოყენებისა, ასევე, შეიძლება განსაზღვროს მოსწავლესთან ქცევის შემცირების სტრატეგიების გამოყენება.

დაგეგმილი იგნორირება

დაგეგმილი იგნორირების გამოყენება მიზანშეწონილია, როდესაც მოსწავლე რთულ ქცევას ავლენს გარშემომყოფების ყურადღების მიქცევის მიზნით. მაგალითად, თუ მოსწავლე იწყებს სტვენას, რათა მოიპოვოს მასწავლებლის ყურადღება, მისი მხრიდან საყვედურიც კი ბავშვისათვის იქნება, „დამაჯილდოებელი“ ფაქტორი. სტვენაზე მასწავლებლის რეაგირებით ბავშვი დაისწავლის, რომ ამით შესაძლებელია ყურადღების მიღება და მომავალშიც გაიმეორებს ამას.

დაუშვებელია დაგეგმილი იგნორირების გამოყენება როცა მოსწავლე თავისი ქცევით საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს ან სხვას, მაგალითად თუ ადის ფანჯარაზე ან ურტყამს სხვას.



გახსოვდეთ: დაგეგმილი იგნორირება არ გულისხმობს მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის პიროვნების იგნორირებას, ან მისი საჭიროებების უგულვებელყოფას. დაგეგმილ იგნორირებაში მოიაზრება ის, რომ როდესაც ბავშვი ავლენს რთულ ქცევას, მასწავლებელი არ აქცევს ყურადღებას ამ კონკრეტულ ქცევას. თუმცა, როგორც კი მოსწავლე გამოავლენს მისაღებ ქცევას, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა უმაღლეს გამოიყენოს დადებითი განმტკიცება-მაგალითად, შეაქოს მოსწავლე დავალებაზე მუშაობისთვის.

ლოგიკური შედეგების მეთოდი

მოსწავლის მიერ ისეთი რთული ქცევების გამოვლენის შემთხვევაში, როგორიცაა ნივთის მიზანმიმართულად დაზიანება, მიზანშეწონილია ლოგიკური შედეგების მეთოდის გამოყენება. მაგალითად, თუ მოსწავლე მერხზე წერს, მასწავლებელი გააწმენდინებს მას თავისივე ნაწერს.

გახსოვდეთ, ლოგიკური შედეგი სწორად უნდა იქნას შერჩეული, ის უნდა იყოს ქცევის პროპორციული და ბავშვის ძალებს არ უნდა აღემატებოდეს.

ყურადღების გადატანა

ყურადღების გადატანის სტრატეგია, გამოიყენება მაშინ, როდესაც ბავშვის ქცევა ყურადღების მიღებას არ ემსახურება. თუ ბავშვი აწყობს ტანტრუმს, იმის გამო, რომ დედამ დატოვა და თვითონ წავიდა, მასწავლებლის მხრიდან სხვა ბავშვებისთვის მიმართვა, ბავშვებო, მოდით ამ ახალი ფანქრებით დავხატოთ”, დიდი ალბათობით მიიპყრობს იატაკზე გაწოლილი ბავშვის ყურადღებასაც, დააინტერესებს და თვითონაც ჩაერთვება ხატვის პროცესში.

თავი 2.

ქვევის მართვის ინდივიდუალური შემთხვევის აღწერები

სასკოლო გარემოში მოსწავლის მიერ გამოვლენილ სოციალურად მიუღებელ ქცევას მრავალი ფაქტორი შეიძლება განსაზღვრავდეს. მოსწავლეთა ნაწილი, მიუღებელ ქცევებს იმ მარტივი მიზეზის გამო შეიძლება ავლენდეს, რომ მათ ჯერ არ აქვთ დასწავლილი კონკრეტული სოციალური უნარები, როგორცაა, მაგალითად, ჯერის დაცვა, ნებართვის აღება და სხვ. სხვა შემთხვევაში, კი მიზეზს შესაძლოა არამარტო სოციალური, არამედ აკადემიური უნარების დეფიციტიც წარმოადგენდეს.

მნიშვნელოვანია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც ქვევის მართვის პრევენციული ღონისძიებების გატარების მიუხედავად, მოსწავლე მაინც ავლენს არასასურველ ქცევებს, განხორცილდეს ქვევის წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიით შეფასება და მართვა. აღნიშნული პროცესი სკოლის პერსონალის მხრიდან მოითხოვს გუნდური პრინციპების გამოყენებით, თანმიმდევრულ და შეთანხმებულ მუშაობას.

წინამდებარე ქვეთავში განხილულია, როგორც კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის, ასევე ტიპური განვითარების მქონე

მოსწავლის ქცევის მართვის ინდივიდუალური შემთხვევები.

გასათვალისწინებელია, რომ კონკრეტული დიაგნოზის არსებობა თავისთავად არ განაპირობებს ბავშვის მიერ არასასურველი ქცევის გამოვლენას. თუმცა, ცალკეული დიაგნოზის მახასიათებლიდან გამომდინარე, შესაძლოა იზრდებოდეს მოსწავლის მიერ რთული ქცევის გამოვლენის ალბათობა. ან, ამას განაპირობებდეს ის ფაქტორი, რომ ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით, არ ხდება მოსწავლესთან სათანადო მიდგომის გამოყენება.

შემთხვევა N1

დათო, 10 წლის. აღნიშნება რთული ქცევები. არ აქვს განსაკუთრებული საჭიროება.

ზოგადი ინფორმაცია - დათო ცხოვრობს დედასთან და ბებიასთან ერთად. ის წელს გადავიდა მე-5 კლასში. საცხოვრებლის ცვლილების გამო, მან სკოლაც შეიცვალა. ახალ სკოლაში, დამრიგებელს უჭირს მისი დახასიათება, რადგან საკმარისად არ იცნობს ბავშვს. თუმცა, აღნიშნავს, რომ დათო ავლენს გარკვეულ ქცევით სირთულეებს გაკვეთილსა და დასვენებებზე.

სწავლების პირველი კვირის განმავლობაში მასწავლებელი ფიქრობდა, რომ დათოს სირთულეები დაკავშირებული იყო სასწავლო წლის დაწყებასთან, სკოლასთან

ადაპტაციასთან და არ გეგმავდა დათოს ქცევაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას. თუმცა, გასულ კვირას, დათომ არასასურველი ქცევები ყველა გაკვეთილზე გამოავლინა, რის შესახებ ინფორმაციაც მას საგნის მასწავლებლებმა მიაწოდეს. ამის შემდეგ დამრიგებელი შეხვდა მშობელსა და ფსიქოლოგს, რათა ერთი მხრივ, მიეღო მეტი ინფორმაცია დათოს შესახებ და მეორე მხრივ, ფსიქოლოგის დახმარებით განესაზღვრა სამომავლო ნაბიჯები.

შეხვედრისას დამრიგებელმა დათოს ქცევითი სირთულეების შესახებ მშობელს მიაწოდა ინფორმაცია. დათოს დედისთვის აღნიშნული ინფორმაცია იყო სიახლე, რადგან წინა სკოლაში სწავლისას დათოს არ გამოუვლენია სწავლასთან და ქცევასთან დაკავშირებული სირთულეები. თუმცა, მან ქცევაზე მუშაობის დაწყებაზე თანხმობა განაცხადა. შეხვედრისას ასევე განისაზღვრა, რომ ქცევის მართვის გუნდს კოორდინირებას გაუწევს ფსიქოლოგი, თუმცა, მასში ჩართული იქნებიან როგორც კლასის ხელმძღვანელი და მშობელი, ასევე, საგნის მასწავლებლები.

ქცევის მართვის საფეხურები

რთული ქცევების სიის შედგენა

ფსიქოლოგისა და დამრიგებლის მიერ დეტალურად და ნათლად განისაზღვრა დათოს მიერ გამოვლენილი რთული ქცევები. ესენია:

- ☒ გაკვეთილის მსვლელობისას ფეხზე წამოდგომა და სკამზე ხმაურით დაჯდომა;
- ☒ გაკვეთილის მსვლელობისას სიცილი;
- ☒ გაკვეთილის მსვლელობისას სტვენა;
- ☒ გაკვეთილის მსვლელობისას თანაკლასელის სახელის დაძახება ან/ და მხარზე მოქაჩვა;
- ☒ შესვენებაზე ყვირილი.

პრიორიტეტული ქცევის განსაზღვრა

მასწავლებლისთვის რთული აღმოჩნდა პრიორიტეტული ქცევის განსაზღვრა, რადგანაც მისი აზრით ყველა ის არასასურველი ქცევა, რომლებსაც დათო ავლენს, მოითხოვს მუშაობას. მისი განცხადებით, მნიშვნელოვანია ერთდროულად დაიწყოს მუშაობა ყველა ქცევაზე, რადგანაც საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობას ხელი ეშლება.

ფსიქოლოგის განცხადებით, ერთდროულად ყველა ქცევაზე მუშაობის დაწყება არაეფექტურია. მან მასწავლებელს სთხოვა გამოეყო ის ქცევა რომელიც ყველაზე მეტად უშლის ხელს:



- ✓ საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობას
- ✓ სხვა ბავშვების სწავლა/სწავლების პროცესს
- ✓ თავად დათოს სწავლა/სწავლების პროცესს

რთული ქცევის განსაზღვრის კრიტერიუმების გათვალისწინებით, დამრიგებელმა გადაწყვიტა, რომ მისთვის პრიორიტეტულია შემდეგ ქცევებზე მუშაობა:

- ☐ გაკვეთილის მსვლელობისას სიცილი;
- ☐ გაკვეთილის მსვლელობისას სტვენა

სასურველი, ჩამანაცვლებელი ქცევების განსაზღვრა

მასწავლებლის განცხადებით, ნაცვლად გაკვეთილის მსვლელობისას სიცილისა და სტვენისა, მას სურს, რომ დათო აქტიურად იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში და ასრულებდეს მისთვის განსაზღვრულ ინსტრუქციას.

ქცევის შეფასება

დათოს მიერ გამოვლენილი რთული ქცევის შეფასების მიზნით, განისაზღვრა რომ უნდა განხორციელდეს ქცევაზე დაკვირვება ABC მოდელის მიხედვით, რაც გულისხმობს ქცევის წინაპირობის და ქცევის თანმდევი შედეგის აღრიცხვას. ასევე, ქცევის გამოვლენის სიხშირის შეფასება, რათა შესაძლებელი გახდეს ქცევაზე მუშაობის პროგრესის დაფიქსირება.

შეხვედრაზე გადაწყდა რომ, დაკვირვებას განახორციელებს როგორც ფსიქოლოგი, ასევე - მასწავლებლები.

დაკვირვების ჩანაწერი

მოსწავლის სახელი: დათო

სამიზნე ქცევა #1: გაკვეთილის მსვლელობისას სიცილის დაწყება

თარიღი: 21.10.2018

წინაპირობა	ქცევა	შედეგი
ქართულის გაკვეთილზე მასწავლებელი იწყებს ახალი მასალის ახსნას	დათო იწყებს სიცილს	სხვა ბავშვები იყურებიან მისკენ და თავათაყ იწყებენ სიცილს. მასწავლებელი უახლოვდება დათოს და ეუბნება: "შენყვიტე სიცილი".
მათემატიკის გაკვეთილზე მასწავლებელი სთხოვს ერთ-ერთ მოსწავლეს გამოვიდეს დაფასთან და დაწეროს მაგალითი	დათო იწყებს სიცილს	ბავშვები იწყებენ სიცილს. მასწავლებელი მიმართავს დათოს და სხვა ბავშვებს რომ გაჩუმდნენ.

მოსწავლის სახელი: დათო

სამიზნე ქცევა #2: გაკვეთილის მსვლელობისას სტვენა

თარიღი: 21.10.2018

წინაპირობა	ქცევა	შედეგი
ერთ-ერთი მოსწავლე პასუხობს მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვას	დათო იწყებს სტვენას	სხვა ბავშვები იყურებიან მისკენ და იწყებენ სიცილს. მასწავლებელი დათოს აძლევს შენიშვნას.

შეფასების შედეგების შეჯამება/ანალიზი

დაკვირვება წარიმართა წინასწარ განსაზღვრული განრიგით - დღის განმავლობაში 3-ჯერ, სხვადასხვა გაკვეთილზე.

დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ დათო სიცილს იწყებს ყველა გაკვეთილზე. უმეტეს შემთხვევაში, როდესაც მისი თანატოლი პასუხობს კითხვას, ყვება გაკვეთილს, ან დაფასთან ასრულებს მასწავლებლის დავალებას. მასწავლებლის მიერ შენიშვნის მიცემის შემდეგ, ჩვეულებრივ, ის ჩუმდება. თუმცა, მსგავსი წინაპირობის არსებობისას (სხვა ბავშვის აქტივობა) ავლენს იმავე ქცევას.

დაკვირვების შედეგების თანახმად, გაკვეთილის მსვლელობისას სტვენის ქცევის წინაპირობები თითქმის იდენტურია სიცილის დაწყების ქცევის წინაპირობისა.

რაც შეეხება შედეგებს, დათოს მიერ გამოვლენილი ქცევის შედეგს ყოველთვის წარმოადგენს სხვა ბავშვების სიცილი, ან კომენტარები და მასწავლებლის შენიშვნა.

დამრიგებლისა და ფსიქოლოგის მიერ ქცევის წინაპირობებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრა, რომ დათოს ქცევის მიზანს წარმოადგენს თანაკლასელების და მასწავლებლის ყურადღების მიღება. აღსანიშნავია, რომ დათო არასასურველი ქცევის გამოვლენის შემდეგ იღებს როგორც პოზიტიურ (თანაკლასელების სიცილი), ასევე ნეგატიურ (მასწავლებლის შენიშვნა) ყურადღებას. თუმცა, რადგან ბავშვის ქცევის მიზანს ყურადღების მიღება წარმოადგენს, ორივე ტიპის ყურადღება დადებითად განამტკიცებს მისი სიცილის და სტვენის ქცევას

ქცევის მართვის სტრატეგიის შემუშავება

შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრა, რომ ჩარევა მიმართული იქნება დათოს მიერ გამოვლენილი ქცევის თანმდევი შედეგის ცვლილებაზე. ჩარევისას გამოყენებულ იქნება:

- ✓ დადებითი განმტკიცების პროცედურა
 - ✓ დაგეგმილი იგნორირების ტექნიკა.
- ერთი მხრივ, მასწავლებელი მოახდენს სასურველი

**ფსიგოლოგიისა და დამრიგებლის მიერ
განხორციელდა მშობლის ინფორმირება
შეფასების შედეგებისა და მართვის
სტრატეგიების შესახებ**

ქცევების დადებით განმტკიცებას - მაგალითად, დათოს მიმართ პოზიტიურ ყურადღებას (შექება, თვალთ კონტაქტის დამყარება გაღიმება, და ა.შ.) გამოავლენს მაშინ, როდესაც ბავშვი მშვიდად ზის, უსმენს სხვებს ან დამოუკიდებლად მუშაობს. ამასთანავე, ის დაგეგმილი იგნორირების მეთოდს გამოიყენებს როდესაც დათო გამოავლენს არასასურველ ქცევას. შესაბამისად, სტრატეგიის თანმიმდევრული გამოყენების შედეგად, დათო დაისწავლის, რომ მასწავლებლის ყურადღებას მიიღებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ავლენს სასურველ ქცევებს.

რაც შეეხება სხვა მოსწავლეების სიცილს, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი იგნორირების გამოყენება მნიშვნელოვანია, რადგან ამ გზით მოდელირებას გაუკეთებს მოსწავლეებს, რომ მათაც არ მიაქციონ ყურადღება დათოს სიცილს და სტვენას და ამასთანავე, ისინიც დაისწავლიან, რომ ეს ქცევა არ არის წახალისებული კლასის გარემოში.

დათოს მიერ გამოვლენილი ქცევის მართვის მიზნით, ყველა მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს აღნიშნული სტრატეგიები, ვინაიდან დათო ყველა გაკვეთილზე ავლენს არასასურველ ქცევებს. ამასთანავე, მათი გუნ-

დის წევრებს უნდა გააცნონ ინფორმაცია ქცევასთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ, როგორცაა არასასურველი ქცევის სიხშირის მატება და სხვ. გუნდის მიერ მოსწავლის ქცევაზე მუშაობის პერიოდული მიმოხილვა წევრებს დაეხმარება უფრო თანმიმდევრულად განხორციელონ შეთანხმებული სტრატეგიები.

ფსიქოლოგის როლი ჩარევის განხორციელების ეტაპზე, მოიცავს პროცესის მონიტორინგს - ის სხვადასხვა გაკვეთილზე დააკვირდება და მასწავლებლებს ჩარევის ეფექტურობასთან დაკავშირებით უკუკავშირს მიაწვდის.

**გახსოვდეთ, დაგეგმილი იგნორირების
გამოყენების სანჯის ეტაპზე, მოსწავლემ
უფრო ხშირად, უფრო ხანგრძლივი დროით
და სიძლიერით შესაძლოა გამოავლინოს
არასასურველი ქცევა. აღნიშნული ეფექტის
მიღებამ, არ უნდა შეგვაცვლევინოს ჩარევის
სტრატეგია**

შემთხვევა N2

გიორგი, 7 წლის. აქვს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი

ზოგადი ინფორმაცია - გიორგი ცხოვრობს მშობლებთან და უფროს დასთან ერთად. მშობლების გადმოცემით, გიორგი ძალიან აქტიური და მოძრავი ბავშვია - ბევრს დადის, დარბის, დამკრება სიმაღლეებზე, მუდმივად ცდილობს ფიზიკურ აქტივობასთან დაკავშირებულ თამაშებში ჩართვას და ა.შ. მას მოსწონს როდესაც წიგნს უკითხავენ. ამ დროსაც ის დადის და ისე უსმენს წაკითხულს. უმეტეს შემთხვევაში, თვითონ უარს ამბობს კითხვაზე, სასკოლო დავალების შესრულებაზე, ან იწყებს და მალევე წყვეტს მუშაობას.

დამრიგებლის გადმოცემით, სკოლაში გიორგის აქვს სწავლასთან და ქცევასთან დაკავშირებული სირთულეები. მის მიერ გამოვლენილი ქცევები ხელს უშლის საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობას. ასევე, გიორგი არ ასრულებს საგაკვეთილო აქტივობებს.

სწავლების საწყის ეტაპზე, მასწავლებელი აღნიშნულ სირთულეებს სკოლასთან ადაპტაციის თანმდევ მოვლენად მიიჩნევდა და ფიქრობდა, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, გიორგი მოახერხებდა საკლასო რუტინაში ჩართვას. გიორგის მიერ რთული ქცევების გამოვ-

ლენისას, ჩვეულებრივ მასწავლებელი მიდიოდა მასთან, ესაუბრებოდა და სთხოვდა რომ თავის ადგილას დამჯდარიყო. რაც შეეხება, დავალების შესრულებლობას, მასწავლებელი ცდილობდა ზედმეტი ყურადღება არ გაემახვილებინა ამაზე და მშობლებს სთხოვდა, რომ სახლში მეცადინეობისთვის დამატებითი დრო დაეთმოთ. მშობლების ძალისხმევით შედეგად, გიორგის მიერ დავალებების შესრულება და მისი საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა არ გაიზარდა. რის შემდეგაც, მასწავლებლის დაჟინებული მოთხოვნით, მშობლებმა გიორგის შეფასების მიზნით, ნეიროფსიქოლოგს მიმართეს. შეფასების შედეგად განისაზღვრა, რომ გიორგის აქვს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი. გიორგის ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, მშობლებს მიაწოდეს მის აკადემიურ უნარებსა და ქცევის მართვაზე მუშაობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

მშობლებმა ინფორმაცია მასწავლებელს მიაწოდეს, მან კი, თავის მხრივ, მოახდინა სპეციალური მასწავლებლისა და დირექციის ინფორმირება, რის შემდეგაც დაიგეგმა სკოლის წარმომადგენლებისა და გიორგის მშობლების შეხვედრა.

შეხვედრაზე გადაწყდა გიორგის როგორც აკადემიური, ასევე სოციალური, კომუნიკაციური და ქცევითი სფეროს

შეფასება. შეფასების შედეგად სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

ქცევის მართვის საფეხურები

რთული ქცევების სიის შედგენა. დამრიგებელმა სპეციალურ მასწავლებელთან და გიორგის მშობლებთან ერთად კონკრეტულად განსაზღვრა ბავშვის მიერ გამოვლენილი რთული ქცევები. ესენია:

- ☆ გაკვეთილის მსვლელობისას ნებართვის გარეშე ადგომა და სიარული;
- ☆ გაკვეთილის მსვლელობისას სხვა ბავშვებთან საუბრის დაწყება;
- ☆ მერხზე ჯდომისას ქანაობა;
- ☆ სასკოლო ნივთების (კალამი, რვეული, წიგნი და ა.შ.) დაკარგვა;
- ☆ გაკვეთილზე კითხვისა და წერის აქტივობის შესრულებაზე უარის თქმა ან ნაწილობრივ შესრულება (მაგ: ერთი აზრის გადმოწერის ნაცვლად, ერთი ფრაზის, ან წინადადების გადმოწერის შემდეგ შეწყვეტა).

პრიორიტეტული ქცევის განსაზღვრა

ქცევის მართვაზე მომუშავე გუნდის ერთობლივი მსჯელობის შედეგად, პრიორიტეტი მიენიჭა შემდეგ ქცევებზე მუშაობას:

- ☆ გიორგის მიერ კითხვისა და წერის აქტივობის შესრულებაზე უარის თქმა, ან ნაწილობრივ შესრულება;
- ☆ გაკვეთილის მსვლელობისას ნებართვის გარეშე ადგომა და სიარული

პრიორიტეტის განსაზღვრისას, მნიშვნელობა მიენიჭა ისეთ ქცევებზე მუშაობას, რომლებიც ყველაზე მეტად უშლის ხელს, როგორც თავად გიორგის, ასევე სხვა ბავშვების სასწავლო პროცესს - გიორგის მიერ გაკვეთილის მსვლელობისას ადგომა და სიარული იწვევს იმას, რომ სხვა ბავშვების ყურადღება მასზე ერთვება და მათი საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხიც იკლებს. აქტივობების შეუსრულებლობა კი გიორგის აკადემიური მოსწრების ხარისხს აუარესებს.

სასურველი ქცევების განსაზღვრა

წერის და კითხვის აქტივობის შესრულებაზე უარის თქმის ან მათი ნაწილობრივ შესრულების ნაცვლად, სასურველია, გიორგიმ შეასრულოს დავალებული აქტივობები (გიორგის აკადემიური უნარების შეფასების საფუძველზე, განისაზღვრება რა სირთულის დავალების შესრულება შეუძლია მას).

გაკვეთილის მსვლელობისას ნებართვის გარეშე ადგომისა და სიარულის ნაცვლად, კი ჩართული იყოს საგაკვეთილო პროცესში და ადგომის სურვილის შემთხვევაში მასწავლებლისგან ნებართვა აიღოს.

ქცევის შეფასება

გიორგის მიერ გამოვლენილი სამიზნე რთული ქცევების შეფასების მიზნით, განხორციელდა ABC მოდელის მიხედვით დაკვირვება. ასევე, მასწავლებელი ინიშნავდა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენჯერ ვლინდებოდა სამიზნე რთული ქცევები გაკვეთილის მსვლელობისას. სამიზნე ქცევებზე დაკვირვება ორი კვირის განმავლობაში ხორციელდებოდა დამრიგებლისა და სპეციალური მასწავლებლის მიერ. კლასის ხელმძღვანელი სამიზნე ქცევების გამოვლენის სიხშირეს ინიშნავდა, სპეციალური მასწავლებელი კი ABC მოდელის მიხედვით, ყოველდღე, ორ სხვადასხვა გაკვეთილზე აკვირდებოდა გიორგის.

დაკვირვების ჩანაწერის ნიმუში

ბავშვის სახელი: გიორგი

სამიზნე ქცევა #1: გიორგის მიერ კითხვის და წერის აქტივობის შესრულებაზე უარის თქმა ან ნაწილობრივ შესრულება

	წინაპირობა	ქცევა	შედეგი
1	ქართულის გაკვეთილის დაწყებიდან მე-15 წუთზე, მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს გადაშალონ რვეული და გადანერონ დაფაზე დანერული წინადადება	გიორგი შლის რვეულს, იხედება გარშემო და არ იწერს წინადადებას	მასწავლებელი მიდის გიორგისთან და უმეორებს თხოვნას. თუმცა, გიორგი არ იწყებს წერას, რის შემდეგაც მასწავლებელი სხვა ბავშვებს უახლოვდება და ამოწმებს მათ მიერ დავალების შესრულების მიმდინარეობას.
2	მათემატიკის გაკვეთილის 17-ე წუთზე, მასწავლებელი აძლევს ინსტრუქციას, რომ გადანერონ 2 მაგალითი და დამოუკიდებლად ამოხსნან	გიორგი ტრიალებს სკამზე, არ შლის რვეულს და არ იწყებს წერას	მასწავლებელი იმეორებს ინსტრუქციას
3	მასწავლებლის მიერ ინსტრუქციის გაშეორება	გიორგი აგრძელებს სკამზე ტრიალს	მასწავლებელი აღარ აძლევს გიორგის ინსტრუქციას და იგნორირებას უკეთებს მის მიერ დავალების შესრულებლობას

დაკვირვების ჩანაწერის ნიმუში

ბავშვის სახელი: გიორგი

სამიზნე ქცევა #2: გაკვეთილის მსვლელობისას ნებართვის

გრეშე ადგომა და სიარული

თარიღი: 25.10.

წინაპირობა	ქცევა	შედეგი
ქართულის გაკვეთილი, მასწავლებელი კითხულობს მოთხრობას გაკვეთილის დაწყებიდან მე-7 წუთი	გიორგი დგება და იწყებს სიარულს	მასწავლებელი წყვეტს კითხვას და გიორგის სთხოვს რომ დაუბრუნდეს თავის ადგილს
მასწავლებელი წყვეტს კითხვას და გიორგის სთხოვს, რომ დაუბრუნდეს თავის ადგილს	გიორგი აგრძელებს სიარულს	მასწავლებელი კვლავ სთხოვს, რომ დაჯდეს
მასწავლებელი კვლავ სთხოვს, რომ დაჯდეს	გიორგი უბრუნდება ადგილს	მასწავლებელი იწყებს მოთხრობის ხმამაღლა წაკითხვას

შეფასების შედეგების შეჯამება/ანალიზი

დაკვირვების მონაცემის ანალიზი განხორციელდა სპეციალური მასწავლებლისა და დამირგებლის მიერ. მათ განიხილეს ABC მოდელის მიხედვით გკეთებული ყველა ჩანაწერი და გამოავლინეს ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ვლინდებოდა ქცევა. ასევე, შედეგები, რომლებიც ქცევას მოჰყვებოდა.

დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ გიორგი ნებართვის გარეშე ფეხზე დგება და სიარულს იწყებს ყველა

გაკვეთილზე. უმეტესად, გაკვეთილის დაწყებიდან მე-7, მე-8 წუთზე. მასწავლებლის მიერ შენიშვნის მიცემის შემდეგ, ჩვეულებრივ ის უბრუნდება თავის ადგილს. თუმცა, 8 წუთის შემდეგ კვლავ იმეორებს აღნიშნულ ქცევას. ამასთანავე, დაკვირვებამ აჩვენა, რომ გიორგი არ იღებს დადებით განმამტკიცებელს, როდესაც ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციას (მაგალითად, უბრუნდება ადგილს)

რაც შეეხება, კითხვითი და წერითი აქტივობების შესრულებაზე უარს, აღნიშნული ქცევაც ყველა გაკვეთილზე ვლინდება. თუმცა, თუკი მასწავლებელი დავალების შესრულებას გაკვეთილის პირველი 10 წუთის განმავლობაში სთხოვს ბავშვს, ის, უმეტეს შემთხვევაში, იწყებს და დაახლოებით 3-4 წუთის შემდეგ წყვეტს, ხოლო გაკვეთილის მეორე ნახევარში ან ბოლოს მიცემული დავალებების შესრულების ინსტრუქციას გიორგი უმეტესად არ ასრულებს. აღნიშნული ქცევის გამოვლენას, ჩვეულებრივ მასწავლებელი იგნორირებას უკეთებს.

დაკვირვების შედეგების ანალიზის საფუძველზე, გიორგის მიერ დავალების შეუსრულებლობის ქცევის მიზანს დავალებისგან თავის არიდება წარმოადგენს, რაც გამოწვეულია ყურადღების კონცენტრაციასთან დაკავშირებული სირთულით და დავალების სირთულით. გიორგის კოგნიტური და აკადემიური უნარების

შეფასების შედეგად გამოვლინდა რომ გიორგის უადვილდება წერისა თუ კითხვის აქტივობის შესრულება, თუკი მისთვის მასალის მცირე ნაწილებად მიწოდება ხდება, ან საშუალება ეძლევა დავალების მცირე ნაწილის შესრულების შემდეგ შეისვენოს.

ქცევის მართვის სტრატეგიის შემუშავება

შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ჩარევა მიმართული უნდა იყოს წინაპირობების შეცვლაზე (წინაპირობის შეცვლა ნიშნავს რომ მოხდება არასასურველი ქცევის გამოვლენის პრევენცია). ანუ, გიორგის დავალება განსხვავებული ფორმით მიეწოდება - მცირე ნაწილებად. თითოეულის შესრულების შემდეგ კი ექნება შესვენების საშუალება და სასურველი ქცევის (დავალებაზე მუშაობა) გამოვლენისთანავე მასწავლებელი გამოიყენებს დადებითი განმამტკიცებელს, კონკრეტულად კი შექებას. მასწავლებელი პერიოდულად გიორგის საშუალებს მისცემს ადგეს და გარკვეულ ფიზიკურ აქტივობაში ჩაერთოს. მაგალითად, მასწავლებელი კლასს უკითხავს ტექსტს და გიორგი კი, მისი ინსტრუქციის შესაბამისად, დგება და თვალსაჩინოებას აჩვენებს კლასს. ყურადღების შენარჩუნებასთან დაკავშირებული სირთულის გამო, მასწავლებელი გიორგისთან ახლოს უნდა იმყოფებოდეს, ხშირად მიმართოს სახელით და დაამყაროს ბავშვთან მხედველობითი კონტაქტი.

შემაჯავებელი N3

ნიკა 8 წლისაა. აქვს დასწავლის უნარის დარღვევის დიაგნოზი.

ზოგადი ინფორმაცია - ნიკა მშობლებთან და ბებია-ბაბუასთან ერთად ცხოვრობს. მასწავლებლები ნიკას ახასიათებენ, როგორც გონიერ და თავაზიან ბავშვს, რომელსაც მეგობრული დამოკიდებულება აქვს თანატოლებთან. მშობლების განცხადებით, ნიკას პოზიტიური დამოკიდებულება აქვს სკოლის მიმართ, თუმცა, ბოლო პერიოდში ამჩნევენ, თვითშეფასებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ბავშვმა მათთან საუბარში რამდენჯერმე ახსენა, რომ კლასში ყველაზე „სუსტი მოსწავლეა.“ დამრიგებლის განცხადებით, ნიკა წარმატებით ართმევს თავს მათემატიკის ძირითად სასწავლო მასალას, თუ არ ჩავთვლით ამოცანებს, რომელთა ამოხსნაც ნიკას დამოუკიდებლად უჭირს. მასწავლებლის განცხადებით ნიკას „არ უყვარს“ კითხვა და ყოველთვის, როცა მასწავლებელი სთხოვს მას კლასში, სხვა მოსწავლეების თანდასწრებით წაკითხვას, ნიკა იმიზიზებს თავის ან თვალების ტკივილს და რამდენიმე სიტყვის წაკითხვის შემდეგ, წყვეტს აქტივობას.



ბოლო ორი თვეა, ნიკა სხვადასხვა მიზეზით სისტემატიურად ითხოვს საგაკვეთილო პროცესიდან გასვლას. მასწავლებელი ვერ ასახელებს ზუსტად რამდენ ხანში ბრუნდება ნიკა საკლასო ოთახში, მაგრამ, მისი თქმით, ბავშვის დაბრუნების მომენტისას, ზოგჯერ დაწყებული აქტივობა დასრულებულია.

დამრიგებელმა აღნიშნულის შესახებ შეატყობინა ნიკას მშობლებს, რომლებმაც ბავშვს ჩაუტარეს შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ნიკას არ აღენიშნება ჯანმრთელობის რაიმე პრობლემა, რომელიც მის ჩივილებს ახსნიდა. მშობლებმა ასევე მიმართეს ოკულისტს, რომელმაც გამორიცხა მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემის არსებობა.

ერთ-ერთ გაკვეთილზე, მასწავლებელმა სთხოვა ნიკას შესვენებაზე დარჩენა და მასთან ერთად წაკითხვა, რა-

ზეც ბავშვი დათანხმდა. მასწავლებელი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ნიკას კითხვის უნარები, მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მისი ასაკისთვის გათვალისწინებულ ნორმას. მან ინფორმაცია მიაწოდა სპეციალურ მასწავლებელს და დირექციას. ისინი კი თავის მხრივ დაუკავშირდნენ ნიკას მშობლებს.

ნიკას საჭიროებების უკეთ იდენტიფიცირების მიზნით, მშობლებმა ბავშვი შეფასებისთვის ნეიროფსიქოლოგთან მიიყვანეს. შეფასების შედეგად გაირკვა, რომ ნიკას აქვს კითხვის უნარის დარღვევა-დისლექსია. ბავშვის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მშობლებისთვის მოხდა მისი აკადემიურ უნარებისა და ქცევის მართვასთან დაკავშირებული რეკომენდაციების მიწოდება.

მშობლებმა ნიკას შეფასების შედეგები და რეკომენდაციები გაუზიარეს სპეციალურ მასწავლებელსა და კლასის ხელმძღვანელს.

სპეციალური მასწავლებლის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ნიკას მშობლები, კლასის ხელმძღვანელი და დირექციის წარმომადგენელი. შეხვედრაზე განხილულ იქნა ამ დროისთვის გამოვლენილი სირთულეები. მშობლების წერილობითი განცხადების საფუძველზე, ბავშვის სწავლასთან და ქცე-

ვასთან დაკავშირებული სირთულეების პირველადი მართვის მიზნით, განხორციელდა შეფასება.

რთული ქცევების სიის შედგენა

დამრიგებელმა ნიკას მშობლებთან და სპეციალურ მასწავლებელთან ერთად კონკრეტულად განსაზღვრა ბავშვის მიერ გამოვლენილი პრობლემური ქცევები. ესენია:

✿ საგაკვეთილო პროცესიდან გასვლის მოთხოვნა სხვადასხვა მიზეზით.

✿ კლასში წაკითხვაზე უარის თქმა

პრიორიტეტული ქცევის განსაზღვრა

არასასურველი ქცევის განსაზღვრის კრიტერიუმების საფუძველზე, გადაწყდა საგაკვეთილო პროცესიდან გასვლის ქცევაზე მუშაობა.

სასურველი ქცევების განსაზღვრა

მასწავლებელს მოლოდინი აქვს, რომ:

✿ საგაკვეთილო პროცესიდან გასვლის მოთხოვნის ნაცვლად, ნიკა უნდა იმყოფებოდეს კლასში და ჩართული იყოს მიმდინარე აქტივობაში.

ქცევის შეფასება

ნიკას მიერ გამოვლენილი სამიზნე რთული ქცევების შეფასების მიზნით, განხორციელდა დაკვირვება ABC

მოდელის მიხედვით. ასევე, მასწავლებელი ინიშნავდა ინფორმაციას გაკვეთილის მსვლელობისას რამდენჯერ ვლინდებოდა სამიზნე რთული ქცევები.

გახსოვდეთ, მოსწავლის მიერ საკლასო გარემოში გამოვლენილი არასასურველი ქცევების ერთ-ერთ გავრცელებულ მიზანს აქტივობისგან თავის არიდება წარმოადგენს, რაც გამოწვეულია კონკრეტული აქტივობის შესრულების სირთულით.

შეფასების შედეგების შეჯამება/ანალიზი

დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ ნიკას ქცევა ძირითადად ვლინდება ქართულის გაკვეთილზე, როდესაც მასწავლებელი კითხვის აქტივობას სთავაზობს. იმ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებელი ინდივიდუალურად სთხოვს ნიკას რაიმეს წაკითხვას, ბავშვი შლის წიგნს და იწყებს მის თვალიერებას, აყოლებს თითს, თუმცა სავარაუდოდ არ კითხულობს, რადგან ხტება ფურცლის ერთი ადგილიდან, მეორეზე. რაც შეეხება კლასიდან გასვლის ქცევას, აღნიშნული მოყვება მასწავლებლის მიერ კლასში, ხმამაღლა წაკითხვის მოთხოვნას. ნიკა აქტივობის დაწყებიდან, დაახლოებით, 2-3 წუთში ითხოვს გარეთ გასვლას და ბრუნდება დაახლოებით 8-10 წუთის შემდეგ.

ქცევის მართვის სტრატეგიის შემუშავება

შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრა, რომ უნდა მოხდეს ნიკასთვის წასაკითხი ტექსტის ადაპტირება. მასწავლებელმა, ასევე, გადაწყვიტა მუშაობის საწყის ეტაპზე, არ მისცეს ნიკას კლასის წინაშე ტექსტის ხმამღლა წაკითხვის ინსტრუქცია. მას შემდეგ, რაც იგი გააუმჯობესებს კითხვის უნარს, შესაძლებელია ტექსტის გარკვეული მონაკვეთის ხმამღლა წაკითხვის მოთხოვნა. დამატებით განისაზღვრა სპეციალური მიერ ნიკასთან ინდივიდუალური მუშაობის განხორციელება რესურს ოთახში.

მუშაობის სტრატეგიის განსაზღვრასთან დაკავშირებულ შეხვედრაზე, მშობლებმა აღნიშნეს, რომ სახლის გარემოში, კონკრეტული რეკომენდაციების გათვალისწინებით იმუშავებენ ნიკას კითხვის უნარის განვითარებაზე.

შემთხვევა N4

ნინო 7 წლისაა. აქვს მეტყველების შეფერხება.

ზოგადი ინფორმაცია – ნინო ცხოვრობს მშობლებთან და ორ უფროს დასთან ერთად. მას აქვს მეტყველების შეფერხება. ძირითადად ის გარკვეული ნიშნების გამოყენებით ამყარებს ოჯახის წევრებთან კომუნიკაციას. მშობლების გადმოცემით, ნინოს შეუძლია ძირითადი საჭიროებების (მაგალითად, წყლის, საკვების ან ტუალეტში გასვლის მოთხოვნა) ამ გზით შეტყობინება.

ნინო სკოლაში წელს ჩაირიცხა, ის პირველ კლასშია. მშობლებმა ნინოს ჩარიცხვამდე შეატყობინეს სკოლას მისი საჭიროების შესახებ. სკოლის ადმინისტრაციამ მშობლებთან შეთანხმების საფუძველზე გააკეთა მიმართვა მულტიდისციპლინურ გუნდთან ნინოს შეფასების შესახებ, რომლის შედეგად განისაზღვრა, რომ ნინოს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება. ამის საფუძველზე დამრიგებელმა და სპეციალურმა მასწავლებელმა დაიწყეს ნინოს აკადემიური, სოციალური, კომუნიკაციური უნარების და ქცევის შეფასება.

შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ ნინო თანატოლებთან მიმართებაში ავლენს რთულ ქცევებს, რის გამოც ბავშვებს არ სურთ ნინოსთან კომუნიკაცია და ხშირად ამბობენ საყვედურს მისი ქცევების გამო. დამრიგებელმა

მიზანშეწონილად ჩათვალა, პირველ რიგში, ამ საკითხვისთვის დაეთმო ყურადღება. მან სპეციალურ მასწავლებელთან ერთად დაგეგმა ნინოს მშობლებთან შეხვედრა.

შეხვედრაზე მშობლებს მიეწოდათ ინფორმაცია ნინოს მიერ გამოვლენილ ქცევებთან მიმართებაში. მშობლები ძალიან შეწუხდნენ შექმნილი ვითარების გამო და მახრადაჭერა გამოუცხადეს მასწავლებელს მუშაობის პროცესში.

ნინოს მიერ გამოვლენილი რთული ქცევის შეფასება და მართვა წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურით წარიმართა.

რთული ქცევების სიის შედგენა

დამრიგებლისა და სპეციალური მასწავლებლის მიერ განისაზღვრა ნინოს მიერ გამოვლენილი რთული ქცევების ჩამონათვალი.

-  თანატოლის ტანსაცმელზე მოქაჩვა;
-  თანატოლისთვის ხელის დარტყმა;
-  თანატოლის თმის მოქაჩვა;
-  ყვირილი.

პრიორიტეტული ქცევის განსაზღვრა

იქედან გამომდინარე, რომ ნინო ავლენს სხვის დამაზიანებელ ქცევას - ბავშვებს ურტყამს ხელს, სამუშაო პრიორი-

ტეტულ მიზნად ერთხმად იქნა მიჩნეული აღნიშნული ქცევის შემცირებაზე მუშაობა.

სასურველი ქცევების განსაზღვრა

დამრიგებლის განცხადებით, ნაცვლად ბავშვებისთვის ხელის დარტყმისა, მას სურს რომ ნინომ შეძლოს მათთან ასაკის შესაფერისი კომუნიკაციის დამყარება - ის აცნობიერებს, რომ მეტყველების შეფერხების გამო, ნინოს შესაძლოა დასჭირდეს კომუნიკაციის ალტერნატიული გზების სწავლება.

ქცევის შეფასება

ნინოს მიერ გამოვლენილი რთული ქცევის შეფასების მიზნით, განისაზღვრა რომ უნდა განხორციელდეს ქცევაზე დაკვირვება ABC მოდელის მიხედვით. ასევე, ქცევის გამოვლენის სიხშირის შეფასება, რათა შესაძლებელი გახდეს ქცევაზე მუშაობის პროგრესის დაფიქსირება.

შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ დაკვირვებას განახორციელებს როგორც კლასის ხელმძღვანელი, ასევე სპეციალური მასწავლებელი.

დაკვირვების ჩანაწერი

ბავშვის სახელი: ნინო

სამიზნე ქცევა #1: თანატოლზე ხელის დარტყმა

თარიღი: 21.10.2018

წინაპირობა	ქცევა	შედეგი
შესვენების დროს ნინოს 3 კლასელი გოგონა დგას დერეფანში, საუბრობენ და იცინიან	ნინო ერთ-ერთ გოგონასთან - ნიასთან ძალიან ახლოს მიდის და მხარზე ხელს ურტყამს	გოგონა აწვევინებს ნინოს ხელს და ხმამაღლა ეუბნება, რომ ასე არ შეიძლება
ქართულის გაკვეთილზე მასწავლებელი კლასს ყოფს 3-4 ბავშვისგან შემდგარ ჯგუფებად. ნინოს ჯგუფის წევრები იწყებენ ერთმანეთში საუბარს	ნინო ნიასთან ახლოს ჯდება და მხარზე ხელს ურტყამს მას	ნია აწვევინებს მას ხელს და მასწავლებელს სთხოვს ნინო სხვა ჯგუფთან დასვას, რადგან მას ხელს ურტყამს

შეფასების შედეგების შეჯამება/ანალიზი

დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ ნინო რთულ ქცევას ავლენს როგორც გაკვეთილის მსვლელობისას (ძირითადად მცირე ჯგუფში მუშაობის დროს), ასევე დასვენების დროს და უმეტესად თავის თანაკლასელ ნიასთან მიმართებაში. ქცევის უშუალო წინაპირობას ყველა შემთხვევაში წარმოადგენს ის, რომ სხვა ბავშვები საუბრობენ, ან თამაშობენ და ნინო არ არის ჩართული აქტივობაში.

ჩვეულებრივ, ნინოს მიერ ქცევის გამოვლენის თანმდევ შედეგს წარმოადგენს ის რომ ნია ან სხვა ბავშვი ხელს

აწვევინებს და საყვედურობს მას, რაც გულისხმობს, რომ ნინო ნეგატიური ფორმით, მაგრამ მაინც იღებს მისთვის სასურველ შედეგს - თანაკლასელთან კომუნიკაციას ამყარებს.

ქცევის წინაპირობებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე, რთულ ქცევას ავლენს ბავშვებთან კომუნიკაციის დამყარების მიზნით.

სურათების გაცვლითი კომუნიკაციის სისტემა არის ქცევის გამოყენებითი ანალიზის პრინციპებზე დაყრდნობით შემუშავებული ალტერნატიული კომუნიკაციის საშუალება. მისი გამოყენება ხდება სხვადასხვა მიმდინარეობის კომუნიკაციის სირთულის მქონე ბავშვებთან.

აღნიშნული სისტემით სწავლება 6 საფეხურისგან შედგება. ბაზისურ საფეხურს, ბავშვისთვის სასურველი ცალკეული საგნის/აქტივობის ამსახველი სურათის გამოყენებით, ამ საგნის/აქტივობის მოთხოვნის სწავლება წარმოადგენს. ეტაპობრივად, კი ბარათების გამოყენებით ხდება კითხვაზე პასუხის გადაცემის, შედარებით დიდი მოცულობის შეტყობინების სწავლება


ქცევის მართვის სტრატეგიის შემუშავება

შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრა რომ უნდა მოხდეს ნინოს კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე მუშაობა, ამისთვის, კი მოხდება სურათების გაცვლითი კომუნიკაციის სისტემის გამოყენება, რაც გულისხმობს საგნებისა და მოქმედებების ამსახველი ბარათების წარდგენით სასურველი ნივთების ან აქტივობაზე ხელმისაწვდომობის მოთხოვნას. აღნიშნული სისტემა დაეხმარება ნინოს, არასასურველი ქცევის გამოვლენის გარეშე, მოახდინოს მისი საჭიროებებისა და სურვილების, მათ შორის, თანატოლებთან კომუნიკაციის დამყარების სურვილის დემონსტრირება.

განისაზღვრა, რომ კომუნიკაციის სისტემა შემუშავდება სპეციალური მასწავლებლის მიერ, რომელიც ბავშვთან მუშაობას დაგეგმავს, როგორც რესურს ოთახში ინდივიდუალურად, ასევე რეკომენდაციას გაუწევს მასწავლებლებს საკლასო გარემოში აღნიშნული მეთოდით მუშაობის შესახებ.

ნინოსთან მუშაობის დაწყებამდე, სპეციალურმა მასწავლებელმა და დამრიგებელმა შემუშავებული სტრატეგიის შესახებ მშობელს მიაწოდეს ინფორმაცია. ასევე, სპეციალურმა მასწავლებელმა ალტერნატიული კომუნიკაციის

სწავლების პრინციპები მათ დეტალურად გააცნო, რათა მშობლებმა სახლის გარემოშიც მოახდინონ სწავლების



შემთხვევა N5

მარიამი, 6 წლის. აქვს აუტისტური სპექტრის აშლილობის დიაგნოზი.

ზოგადი ინფორმაცია - მარიამი ცხოვრობს მშობლებთან და უფროს და-მმასთან ერთად. მშობლების გადმოცემით, სამი წლის ასაკში მარიამს დაუსვეს აუტისტური სპექტრის აშლილობის დიაგნოზი. იგი ძირითადად მეტყველებს ცალკეული სიტყვებით და მოკლე ფრაზებით.

მარიამს შედგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მიყვება აღნიშნული გეგმით გათვალისწინებულ აკადემიურ პროგრამას. თუმცა, მასწავლებლის განცხადებით, მარიამი გაკვეთილზე ზოგჯერ იმალება მერხის ქვემოთ და, შესაბამისად, ეთიშება საგაკვეთილო პროცესს. მასწავლებელმა სცადა სიტყვიერად მარიამისთვის ეთხოვა მერხის ქვემოდან გამოსვლა, რამდენჯერმე კი შესთავაზა მისი საყვარელი პლასტელინით თამაში, იმ პირობით რომ შემდეგ გამოვიდოდა იქიდან. თუმცა მასწავლებლის განცხადებით, ასეთმა მცდელობებმა უარესი შედეგი გამოიღო და მარიამი ახლა პრაქტიკულად ყველა გაკვეთილზე ძვრება მერხის ქვემოთ. მასწავლებელი ასევე აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში თუკი ყურადღებით უსმენს მასწავლებელს, მის დასმულ კითხვებზე სწორად პასუხობს. შესვენებაზე

იგი არ ეკონტაქტება სხვა ბავშვებს, არ ერთვება მათთან ერთად წარმოსახვით ან სხვა მოძრავ თამაშებში, ამის ნაცვლად ამჯობინებს ხატვას განმარტოებით. მასწავლებლის თქმით მარიამი დაუკითხავად იღებს თანაკლასელების ნივთებს, რაც მათი მცირე ნაწილის გაღიზიანებას იწვევს, დანარჩენები კი მიიჩნევენ, რომ მარიამის ასეთ ქცევას დასაშვებია, რადგან იგი სხვა ბავშვებისგან „განსხვავებულია“. მარიამი დამოუკიდებლად იცვამს და იხდის ქურთუკს. ასევე თავად მიდის საპირფარეოში, თუმცა მასწავლებლის თქმით ხელებს არასოდეს იმშრალავს და ზოგჯერ საპირფარეოდან ყვირილით გამორბის და ყურებზე ხელს იფარებს.

მასწავლებელმა მარიამის ქცევასთან დაკავშირებული სირთულეების შესახებ ინფორმაცია გაუზიარა სპეციალურ მასწავლებელს. მათ ერთობლივად მიაწოდეს მშობელს ინფორმაცია და მშობლის თანხმობის საფუძველზე მიღებულ იქნა მარიამისთვის ქცევის მართვის გეგმის შედგენის გადაწყვეტილება.

ქცევის მართვის საფუძვრები

რთული ქცევების სიის შედგენა

მასწავლებელმა სპეციალურ მასწავლებელთან ერთად კონკრეტულად განსაზღვრა ბავშვის მიერ გამოვლენილი შემდეგი პრობლემური ქცევები:

- ☆ არ ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციებს
- ☆ გაკვეთილის მსვლელობისას მერხის ქვეშ შეძრომა.
- ☆ საპირფარეშოდან ყვირილით გამოქცევა.
- ☆ სხვისი ნივთების დაუკითხავად აღება.

პრიორიტეტული ქცევის განსაზღვრა

სკოლის პერსონალისა და მშობლების მსჯელობის შედეგად, პრიორიტეტი მიენიჭა შემდეგ ქცევებზე მუშაობას:

- ☆ გაკვეთილის მსვლელობისას მერხის ქვეშ შეძრომა.
- ☆ სხვისი ნივთების დაუკითხავად აღება.

ბავშვის მიერ გამოვლენილი რთული ქცევების ჩამონათვლის შემდგომ ეტაპს, სამუშაოდ პრიორიტეტული ქცევის განსაზღვრა წარმოადგენს. პრიორიტეტულია ქცევა, რომელიც ყველაზე მეტად უშლის ხელს თავად ბავშვს, ან მის გარშემომყოფებს.

სასურველი ქცევების განსაზღვრა

მასწავლებელს აქვს მოლოდინი, რომ ქცევის მართვის გეგმის შედგენის შედეგად:

- ☆ გაკვეთილზე მერხის ქვეშ შეძრომის ნაცვლად, მარიამი მერხთან იჯდება და ჩართული იქნება საგაკვეთილო პროცესში.

- ☆ სხვისი ნივთების დაუკითხავად აღების ნაცვლად, კი მარიამი სიტყვიერად ითხოვს მათი გამოყენების ნებართვას.

ქცევის შეფასება

მარიამის მიერ გამოვლენილი სამიზნე რთული ქცევების შეფასების მიზნით, განხორციელდა ABC მოდელის მიხედვით დაკვირვება. ასევე, მასწავლებელი და სპეც. პედაგოგი ინიშნავდნენ ინფორმაციას გაკვეთილის მსვლელობისას რამდენჯერ ვლინდებოდა სამიზნე რთული ქცევები.



დაკვირვების ჩანაწერი

მოსწავლის სახელი: მარიამი

სამიზნე ქცევა #1: გაკვეთილის მსვლელობისას მერხის ქვეშ შეძრომა.

თარიღი: 21.10.2018

წინაპირობა	ქცევა	შედეგი
ქართულის გაკვეთილი, მასწავლებელი ხსნის ახალ მასალას, გაკვეთილის მიმდინარეობის მე-20 წუთი	მარიამი მერხის ქვეშ ძვრება	მასწავლებელი მიდის მასთან და აძლევს საყვარელ პლასტელინს
მათემატიკის გაკვეთილის მიმდინარეობის 22-ე წუთზე მასწავლებელი დაფაზე წერს მაგალითს	მარიამი მერხის ქვეშ ძვრება	მასწავლებელი უახლოვდება მას და სთხოვს დაუბრუნდეს ადგილს

შეფასების შედეგების შეჯამება/ანალიზი

მოსწავლის არასასურველ ქცევებზე დაკვირვება წარიმართა წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურით - დღის განმავლობაში 2-ჯერ, სხვადასხვა გაკვეთილზე.

დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ მარიამი ჩართულია საგაკვეთილო პროცესის დაახლოებით 55 პროცენტში, დანარჩენ დროს კი მერხის ქვეშ ატარებს. აღნიშნული ქცევის წინაპირობას არ წარმოადგენდა რომელიმე კონკრეტული აქტივობა, არამედ კავშირში იყო გაკვეთილის ხანგრძლივობასთან. კერძოდ, გაკვეთილის პირველ ნახევარში ბავშვი ასრულებდა მასწავლებლის

ინსტრუქციებს და ჩართული იყო საგაკვეთილო პროცესში, თუმცა, საშუალოდ 20 წუთის შემდეგ, იგი იწყებდა მოძრაობას მერხზე და შემდეგ ძვრებოდა მერხის ქვემოთ. ამ დროს მასწავლებლის მასთან მიახლოებამ და პლასტელინის ან სხვა აქტივობის შეთავაზებამ რეალურად მოახდინა მარიამის ქცევის განმტკიცება.

რაც შეეხება სხვისი ნივთების დაუკითხავად აღების ქცევას, აღნიშნული ძირითადად გამოვლინდა შესვენებაზე, ასევე ბუნებისა და ხატვის გაკვეთილზე, სადაც მოსწავლეები იყენებდნენ საკლასო ოთახში არსებულ საერთო მოხმარების ნივთებს (ფერადი ფურცლები, მაკრატელი და ა.შ.) - მარიამი უახლოვდებოდა თანაკლასელების მერხს და იღებდა სასურველ ნივთს დაუკითხავად. ბავშვების უმეტესობა აღარ რეაგირებს მარიამის ქცევაზე და უბრალოდ ელოდებიან, თუ როდის დაასრულებს ბავშვი მათ გამოყენებას, რომ დაიბრუნონ საკუთარი ნივთები.

სპეც. პედაგოგის მიერ ასევე განხორციელდა დაკვირვება საპირფარეშოდან ყვირილით გამორბენის ქცევაზე და დადგინდა, რომ მარიამი იქიდან გამორბის მას შემდეგ რაც თანაკლასელები რთავენ ხელის ელექტროსაშრობს, რომლის ხმის გაგონებაზეც მარიამი ხელებს იფარებს ყურებზე და გამორბის საპირფარეშოდან.

დაკვირვების შედეგების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ მარიამის ქცევის მიზანს პირველ შემთხვევაში

წარმოადგენს დავალებებისგან თავის არიდება, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია დაღლილობით და შესვენების აუცილებლობით, თანატოლთა ნივთების დაუკითხავად აღებისას, კი მიზანს წარმოადგენს სასურველი ნივთის მიღება, რაც შეეხება საპირფარეშოდან გამოქცევას, ამ შემთხვევაში მარიამის ქცევის ფუნქციას წარმოადგენს მისთვის უსიამოვნო სენსორული სტიმულაციისთვის (ელექტროსაშრობის ხმა) თავის არიდება.

ქცევის მართვის სტრატეგიის შემუშავება

შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრა რამდენიმე სტრატეგია, რომელთა შესახებაც მშობლებსა და მარიამთან სკოლის გარემოში დაკავშირებულ ყველა პირს ინფორმაცია მიეწოდა.

სტრატეგია N 1

პირველ სტრატეგიას მარიამისთვის ვიზუალური აქტივობების განრიგის შემუშავება წარმოადგენს. ეს მნიშვნელოვანია, რათა ბავშვისთვის გაკვეთილი მეტად პროგნოზირებადი და სტრუქტურირებული გახდეს. შესაძლებელია, თუკი მასწავლებელი აღნიშნული სახის განრიგს ყველა მოსწავლესთან გამოიყენებს, კონკრეტული აქტივობის დაწყებამდე.

სტრატეგია N 2

მეორე სტრატეგიას მარიამისთვის იმის სწავლება, თუ როგორ უნდა მოითხოვოს რამდენიმე წუთიანი შესვენება ისეთი ფორმით, რომელიც ხელს არ შეუშლის საგაკვეთილო პროცესს. მარიამმა ეს შეიძლება გააკეთოს მერხზე სპეციალური ბარათის განთავსებით, რომელზეც იქნება წარწერა „შესვენება“. მნიშვნელოვანია, რომ საწყის ეტაპზე მოხდეს ბარათის გამოყენების სწავლება. გაკვეთილის დაწყებიდან დაახლოებით 18 წუთის შემდეგ, ვიდრე მარიამი გამოავლენს რთულ ქცევას - შეძვრება მერხის ქვეშ, მასწავლებელი მიუახლოვდეს და შეახსენოს, რომ გამოიყენოს ბარათი, თუკი საჭიროებს შესვენებას. ასევე, მარიამს უნდა განემარტოს, რომ ბარათის გამოყენება შეუძლია გაკვეთილის მსვლელობისას მხოლოდ ერთხელ, 5 წუთიანი შესვენების ხანგრძლივობით. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა პლასტელინი, როგორც მარიამისთვის დადებითი განმამტკიცებელი გამოიყენოს მაშინ, როდესაც ბავშვი მშვიდად, ბარათის ჩვენებით მოითხოვს შესვენებას.

შემთხვევა N6



ნინო 8 წლისაა. მას აღენიშნება ემოციური სირთულეები.

ზოგადი ინფორმაცია - ნინოს ოჯახმა რამდენიმე თვის წინ საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა და გადაწყვიტეს, ნინოც მათ ახალ სახლთან მდებარე სკოლაში მიეყვანათ. მასწავლებლის თქმით, ნინო თავიდანვე მორცხვი ბავშვის შთაბეჭდილებას ტოვებდა, თუმცა ბავშვები მეგობრულად შეხვდნენ და ნელ-ნელა მან დაიწყო კონტაქტის დამყარება. მიუხედავად ამისა, იგი გაკვეთილებზე პასიურობს, იშვიათად იჩენს ინიციატივას და დაფასთან გამოსვლისგანაც თავს იკავებს.

ასევე, როგორც მასწავლებელი ამტკიცებს, მან შეამჩნია, რომ ნინო რამდენჯერმე არ ასრულებდა მიცემულ საკლასო დავალებას, როდესაც მასწავლებელი მიუახლოვდა, ბავშვმა თითქმის ჩურჩულით უთხრა, რომ რეალურად ვერ გაიგო ინსტრუქცია, თუმცა მასწავლებლისთვის

დამაზუსტებელი კითხვის დასმისგან თავი შეიკავა. მასწავლებლის თქმით ნინო ყოველთვის მოწესრიგებული ცხადდება სკოლაში და გაკვეთილიც, როგორც წესი, მომზადებული აქვს. აღნიშნულის შესახებ იგი ბავშვის მიერ წერილობითი დავალებების შესრულებით იგებს.

ქცევის მართვის საფეხურები

არასასურველი ქცევების სიის შედგენა

მასწავლებელმა სპეც. პედაგოგთან ერთად კონკრეტულად განსაზღვრა ბავშვის მიერ გამოვლენილი შემდეგი პრობლემური ქცევები:

- ☒ მასწავლებლის შეკითხვაზე საპასუხოდ არ იწევს ხელს
- ☒ დაფასთან გამოსვლაზე უარს აცხადებს
- ☒ ინსტრუქციის დაზუსტების მიზნით, არ სვამს კითხვას



პრიორიტეტული ქცევის განსაზღვრა

მასწავლებლისა და მშობლების მსჯელობის შედეგად, პრიორიტეტი მიენიჭა შემდეგ ქცევებზე მუშაობას:

☒ მასწავლებლის შეკითხვაზე საპასუხოდ ხელის არ აწევა

გახსოვდეთ, რომ გარდა ისეთი ქცევებისა, რომლებიც ჭარბად, გადამეტებულად ვლინდება და ხელისშემშლელია გარემომცოცხებისთვის, არასასურველად ასევე მიიჩნევა შემთხვევა, როდესაც ბავშვი არ ავლენს ან ძალიან იშვიათად ავლენს ქცევას, რომელიც მოითხოვება მისი ასაკის გათვალისწინებით სხვადასხვა გარემოში. მაგალითად, არასოდეს იწევს გაკვეთილზე ხელს, რათა იკითხოს რაიმე; არ იჩენს ბავშვებთან თამაშის დანწყების ინიციატივას და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი არ აყენებს ზიანს არავის, მის მიერ დეფიციტურად გამოვლენილი ქცევები თავად მისი განვითარების და სწავლის პროცესს შეიძლება უშლიდეს ხელს.

სასურველი ქცევების განსაზღვრა

მასწავლებლის სურვილი, რომ ნინომ:

☒ გაკვეთილზე მასწავლებლის შეკითხვაზე საპასუხოდ აიწიოს ხელი

ქცევის შეფასება

ნინოს მიერ გამოვლენილი სამიზნე რთული ქცევების შეფასების მიზნით, განხორციელდა ABC მოდელის მიხედვით დაკვირვება.

შეფასების შედეგების შეჯამება/ანალიზი

დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ ნინო ჩართულია საგაკვეთილო პროცესში და ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციებს, რაც შეეხება მის მიერ გაკვეთილზე ხელის აწევას, აღნიშნული ქცევა დამოკიდებული იყო მასწავლებლის შეკითხვის ტიპზე. იმ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებელი მხოლოდ ხელის აწევას მოითხოვდა მოსწავლეებისგან, სიტყვიერი პასუხის გარეშე, ნინო იწევს ხელს (მაგალითად, კითხვაზე, თუ რამდენმა დაასრულა წერით დავალებაზე მუშაობა) მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი მასწავლებელი სთხოვს კლასის გაუზიარონ შთაბეჭდილებები წაკითხული მოთხრობის შესახებ, ნინო არ იწევს ხელს. ნინო არასასურველ, დეფიციტურ ქცევებს ავლენს ყველა გაკვეთილზე.

ქცევის მართვის სტრატეგიის შემუშავება

შეფასების შედეგების საფუძველზე ნინოს ქცევასთან მიმართებაში დაიგეგმა შემდეგი სახის ინტერვენცია:

☒ მასწავლებლის მხრიდან მისი ჩართულობის - კითხვაზე საპასუხოდ ხელის აწევის ქცევის დადებითი განმტკიცება.

- ☑ საგაკვეთილო პროცესში წყვილებში მუშაობისას მისი შეწყვილება კლასში განვითარებული სოციალური უნარების მქონე სხვა თანაკლასელთან
- ☑ სხვა მოსწავლეების ქცევის წახალისება მსგავსი სასურველი ქცევის გამოვლენისთვის.

მასწავლებელმა თავის მხრივ ნინოს მშობლებს მიაწოდა სტრატეგიების შესახებ ინფორმაცია. მათგან კი მიიღო ნინოსთვის სასურველი სოციალური განმამტკიცებლის შესახებ ინფორმაცია. მასზე და დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით, ბავშვის მიერ სასურველი ქცევის გამოვლენისას, გადაწყდა სპეციფიკური სიტყვიერი შექების გამოყენება - ყოჩაღ, ძალიან მიხარია, რომ კითხვას სვამ; ყოჩაღ რომ ხელი აიწიე.

შემთხვევა N7

ზოგადი ინფორმაცია - ირაკლი 13 წლისაა. ის ცხოვრობს მშობლებთან და უმცროს დასთან ერთად. მას მოსწონს კომპიუტერული თამაშები და დიდ დროს ატარებს კომპიუტერთან.

მშობლების გადმოცემით, ირაკლის ქცევასთან დაკავშირებული სირთულეები ადრეული ბავშვობიდან ვლინდებოდა. მას ყოველთვის უჭირდა წესების დაცვა და მშობლებისთვის სირთულეს წარმოადგენდა მასთან რაიმე შეთანხმების მიღწევა. თუმცა, ვითარება წელს უფრო

გამწვავდა, რასაც ისინი გარდატეხის ასაკის თავისებურებებს მიაწერენ. ირაკლი ღიად ეწინააღმდეგება მშობლების წესებს (მაგალითად, გაკვეთილების დასრულების შემდეგ სახლში დროულად მოსვლა, კომპიუტერის ერთ საათზე მეტი ვადით არ გამოყენება).

ქცევასთან და სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები სკოლის გარემოშიც ვლინდება. მასწავლებლის გადმოცემით, ირაკლის ქცევის მართვას ის დამოუკიდებლად ვეღარ ახერხებს და ფიქრობს რომ მნიშვნელოვანია ჩართოს როგორც სკოლის ფსიქოლოგი, ასევე, მშობლებს ირაკლის ფსიქოლოგთან მიყვანის შესახებ ურჩიოს.

დამრიგებელმა შეხვედრაზე მშობლებთან და ფსიქოლოგთან ერთად სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებსაც სთხოვა დასწრება, რადგან მიაჩნია, რომ ირაკლის შემთხვევა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

შეხვედრაზე განხილული იქნა როგორც სკოლის, ასევე სახლის გარემოში ბავშვის მიერ გამოვლენილი რთული ქცევები. გუნდი შეთანხმდა, რომ დაიწყება სკოლის გარემოში ირაკლის ქცევის შეფასება და ამასთანავე, გადაწყდა, რომ მშობლები ირაკლის ფსიქოლოგთან მიიყვანენ.

ირაკლის მიერ გამოვლენილი რთული ქცევის შეფასება და მართვა წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურით წარიმართა.

ქცევის მართვის საფეხურები

რთული ქცევების სიის შედგენა

დამრიგებლისა და ფსიქოლოგის მიერ განისაზღვრა ირაკლის მიერ გამოვლენილი რთული ქცევების ჩამონათვალი.

- ❄ მასწავლებლის ინსტრუქციის შესრულებაზე უარის თქმა და საკლასო ოთახის დატოვება
- ❄ მასწავლებლის მიმართ დამცინავი ფრაზების გამოყენება
- ❄ თანატოლების დაცინვა⁴



დამრიგებლის გადმოცემით, ირაკლი აღნიშნულ ქცევებს ძალიან ხშირად ავლენს, რის გამოც პრობლემები აქვს როგორც მასწავლებლებთან, ასევე, თანატოლებთან. მასთან მეგობრობას და ურთიერთობას თავს არიდებენ ბავშვები.

პრიორიტეტული ქცევის განსაზღვრა

მიუხედავად იმისა, რომ კლასის ხელმძღვანელი ირაკლის მიერ გამოვლენილ ყველა ქცევაზე მუშაობას მიიჩნევს საჭიროდ, საწყის ეტაპზე მან სამიზნე ქცევად განსაზღვრა:

- ❄ მასწავლებლის ინსტრუქციის შეუსრულებლობა და საკლასო ოთახის ნებართვის გარეშე დატოვება
- ❄ თანატოლების მიმართ დამამცირებელი ზედმეტსახელების გამოყენება

სასურველი ქცევების განსაზღვრა

კლასის ხელმძღვანელი ქცევაზე მუშაობის შედეგად მოელოდა რომ:

- ❄ ირაკლი შეასრულებს მის მიერ მიცემული ინსტრუქციების სულ მცირე 50 %-ს.
- ❄ თანატოლებს მიმართავს სახელით, ნაცვლად დამამცირებელი ზედმეტსახელის დამახებისა

ქცევის შეფასება

ირაკლის მიერ გამოვლენილი რთული ქცევის შესფასების მიზნით, განისაზღვრა რომ უნდა განხორციელდეს ქცევაზე დაკვირვება ABC მოდელის მიხედვით. ასევე, ქცევის გამოვლენის სიხშირის შეფასება, რათა შესაძლებელი გახდეს ქცევაზე მუშაობის პროგრესის დაფიქსირება.

შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დაკვირვებას განხორციელებს როგორც კლასის ხელმძღვანელი, ასევე ფსიქოლოგი დღეში 4-ჯერ, სხვადასხვა გაკვეთილზე, 2 კვირის განმავლობაში.

შეფასების შედეგების შეჯამება/ანალიზი

დაკვირვების შედეგების თანახმად, ირაკლი არასასურველ ქცევებს ავლენს ყველა გაკვეთილზე. უფრო ხშირად ქცევა ვლინდება მათემატიკის გაკვეთილზე (გაკვეთილის მსვლელობისას საშუალოდ 5-6 ჯერ არ ასრულებს ისეთ მარტივ მითითებებს როგორიცაა: ირაკლი, გადაშალე წიგნი, აილე კალამი და დაიწყე წერა და ა.შ.). ყველაზე ნაკლებად (გაკვეთილის მსვლელობისას საშუალოდ 2-3 ჯერ) ქცევა ვლინდება ინგლისურის გაკვეთილზე.

ირაკლის ქცევის წინაპირობას ყოველთვის წარმოადგენს მასწავლებლების მიერ მიცემული ინსტრუქცია. რაც შეეხება ქცევის თანმდევ შედეგებს, ყოველთვის, როდესაც ირაკლი უარს ამბობს ინსტრუქციის შესრულებაზე, რასაც სიტყვიერად გამოხატავს (მაგალითად, „ამას არ გავაკეთებ“), მასწავლებლის მხრიდან მოყვება მასთან საუბარი, მისი დარწმუნება რომ მსგავსი საქციელი არასასურველია. მასწავლებლის საუბრისას, ირაკლი ზოგჯერ იცინის, თვალებში არ უყურებს მას და თანატოლებს ემახის ზედმეტსახელს.

თანატოლებისთვის ზედმეტი სახელების დამახების ყველაზე ხშირ წინაპირობას წარმოადგენდა მასწავლებლის მიერ სხვა მოსწავლისთვის სახელით მიმართვა, ხოლო შედეგს მასწავლებლის მხრიდან დამრიგებლური საუბარი იმის შესახებ, რომ მეგობრებს ასე არ ექცევიან, რის შემდეგაც ირაკლი იწყებს სიცილს.

წინაპირობისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ირაკლის ქცევის მიზანს ორივე შემთხვევაში წარმოადგენს მასწავლებლების ყურადღების მიპყრობა მხოლოდ ნეგატიური ქცევით.

რაც შეეხება ინგლისურის გაკვეთილს, სადაც ირაკლი რთულ ქცევებს ყველაზე ნაკლები სიხშირით ავლენს, ფსიქოლოგის დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ ინგლისურის მასწავლებელი რთული ქცევის გამოვლენისას არ შედის ირაკლისთან დისკუსიაში და მაქსიმალურად ცდილობს აქცენტი გააკეთოს მის მიერ ნებისმიერი თანამშრომლური ქცევის გამოვლენაზე - სიტყვიერად აღნიშნავს და მცირე ჯგუფებში მუშაობისას ჯგუფის მართვის პასუხისმგებლობას მას აკისრებს. თუმცა, ცდილობს რომ თავად გაუწიოს პროცესს მონიტორინგი.

ქცევის მართვის სტრატეგიის შემუშავება

ქცევის შეფასების შედეგებისა და სტრატეგიის გაცნობის მიზნით, დაიგეგმა და განხორციელდა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ კლასის ხელმძღვანელი, ფსიქოლოგი, მშობლები, თითქმის ყველა საგნის მასწავლებელი და დირექციის წარმომადგენელი. შეხვედრაზე მშობლებმა სკოლის პერსონალს გააცნეს ფსიქოლოგის მიერ განსაზღვრული ძირითადი რეკომენდაციები, რომელიც გულისხმობს ქცევითი თერაპიის საშუალებით სოციალურად მისაღები

ქცევების გაზრდაზე მუშაობას, რაც მოითხოვს როგორც უშუალოდ ირაკლისთან ინტერვენციის განხორციელებას, ასევე, მშობლების და სკოლის პერსონალის მიერ ქცევის მართვის შეთანხმებული სტრატეგიების გამოყენებას.

თავის მხრივ, სკოლის ფსიქოლოგმა და დამრიგებელმა გუნდის წევრებს შემუშავებული სტრატეგიები გააცნეს, რაც დიდწილად ასახავს გარეშე ფსიქოლოგის მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებს.

სკოლის გარემოში ირაკლის ქცევის მართვის მიზნით, განხორციელდება შემდეგი სტრატეგიების გამოყენება:

✓ სასურველი ქცევის დადებითი განმტკიცება. ყველა საგნის მასწავლებელმა და ირაკლისთან სკოლის გარემოში დაკავშირებულმა სხვა პირებმა, უნდა გამოიყენონ დადებითი განმამტკიცებელი მის მიერ ყველაზე მარტივი ინსტრუქციის, დახმარების შეთავაზების, წესის დაცვის, თანატოლისთვის სახელით მიმართვის ქცევის გამოვლენისთანავე. მასწავლებელთა დაკვირვების მონაცემების საფუძველზე, ირაკლის მოსწონს როდესაც მას გარკვეული პრივილეგია ენიჭება (ჯგუფის ლიდერობა), ასევე, თუ ჯგუფის წინაშე აღნიშნავენ მის ქცევას. შესაბამისად, ორივე განმამტკიცებელი იქნება გამოყენებული მასთან მუშაობის პროცესში.

✓ კლასის წესების შემუშავება, სადაც ერთ-ერთ წესი გულისხმობს თანაკლასელებს შორის პოზიტიური ურთიერთობის არსებობას. ეს წესი გამორიცხავს თანატოლისთვის დამამცირებელი სახელით მიმართვას. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ამ წესის შესრულებას, მიაწოდონ დადებითი განმამტკიცებელი იმ მოსწავლეებს, რომლებიც იცავენ წესს და ასევე, მიაწოდონ წინასწარ განსაზღვრული შედეგი (მაგალითად, გარკვეული პრივილეგიის შეზღუდვა) იმ მოსწავლეებს, რომლებიც არ იცავენ.

✓ სოციალურ - ემოციური უნარების განვითარება. დამრიგებელმა, სადამრიგებლო საათის ფარგლებში, დაგეგმოს და განახორციელოს მუშაობა შემდეგის შესახებ: თანამშრომლობა, ემპათია, ბრაზის მართვა. მნიშვნელოვანია, აღნიშნული უნარების განვითარების მიზნით, გამოყენებული იქნას სოციალური ისტორიები, როლური თამაშები და არა უბრალოდ მოსწავლეებთან საუბარი.

✓ შეზღუდვების დაწესება. იმ შეთხვევებში კი, როდესაც ირაკლი ავლენს არასასურველ ქცევას, მნიშვნელოვანია, მასწავლებლები არ შევიდნენ მასთან დისკუსიაში, არამედ შეახსენონ ქცევის წესი და თუ ირაკლი მაინც

განაგრძობს პრობლემური ქცევის გამოვლენას, გამოიყენონ შეზღუდვები (პრივილეგიის ჩამორთმევა და სხვ.).

ჯგუფი შეთანხმდა, რომ მნიშვნელოვანია ხშირი შეხვედრა და ერთმანეთისთვის ინფორმაციის გაცვლა გამოყენებული სტრატეგიების ეფექტურობის, მოსწავლის ქცევაში ცვლილების დ სხვა, მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

ტერმინთა განმარტება

დაგეგმილი იგნორირების ტექნიკა - ქცევის მართვის ერთ-ერთი ტექნიკა, რომელიც გულისხმობს არასასურველი ქცევის გამოვლენისას მის იგნორირებას, ანუ ყურადღების არ მიქცევას. მოცემული ტექნიკა ეფექტურია როდესაც ბავშვის ქცევის შემანარჩუნებელი ფაქტორი სხვების ყურადღების მიღებაა. მოცემული ტექნიკის გამოყენებისას ასევე ხდება ალტერნატიული, მისაღები ქცევის განმტკიცება.

მოდელირება - სწავლების ერთ-ერთი ტექნიკა, როდესაც მოსწავლისთვის ჩვენების მიზნით თვითონ ახორციელებენ კონკრეტულ ქცევას, ანუ ასე აჩვენებენ რა როგორ უნდა გააკეთოს და ის იმეორებს.

დადებითი განმტკიცება - პროცესს, როდესაც ადამიანი რაიმე სახის ქცევას ავლენს და შედეგად მისთვის სასურველს (მატერიალურს თუ არამატერიალურს) იღებს

ქცევის მართვის გეგმა - გეგმა, რომელიც ასახავს მოსწავლის არასასურველი ქცევის შეფასების შედეგებს, მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მისაღები ქცევის სწავლების სტრატეგიების, განხორციელების ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს.

პრევენცია - თავიდან აცილება

როტულიქცევა-ქცევა,რომელიცვლინდებაისეთისიხშირით, ინტენსივობითა და ხანგრძლივობით, რომ ხელს უშლის პიროვნების ყოველდღიურ ფუნქციონირებას, საფრთხეს უქმნის თავად მას ან სხვების კეთილდღეობას, აფერხებს სწავლებისა და განვითარების პროცესს, კომუნიკაციას და სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება - სპეციალური საგანმანათლებლოსაჭიროებისმქონეამოსწავლერომელსაც თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და რომლისთვისაც საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაცია, აკომოდაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება. სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:ა) ფიზიკური შეზღუდვა; ბ)ინტელექტუალური განვითარების დარღვევა; გ)სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის); დ)მეტყველების განვითარების დარღვევა; ე)ქცევითი და ემოციური დარღვევა; ვ)გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება; ზ)სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

ტიპური განვითარების ბავშვი - ბავშვი, რომლის განვითარებაც ნორმის ფარგლებშია, არ აღენიშნება განვითარების დარღვევა

ყურადღების გადატანის სტრატეგია - ქცევის მართვის ერთ-ერთი სტრატეგია, რომელიც გულისხმობს ბავშვის ყურადღების გადატანას ისეთ მოვლენაზე, რაც მის ინტერესს გამოიწვევს და აღძრავს სხვა ქცევას, რის საფუძველზეც შეწყდება კონკრეტული როტული ქცევა

გამოყენებული ლიტერატურა:

- გამოყენებითი ფსიქოლოგიისა და კვლევის ცენტრი. “როგორ ვმართოთ ბავშვის ქცევა”. 2017
- ბარი ს. პარსონსონი, ქცევის გამოყენებითი ანალიზი. „საქართველოს ბავშვები“. 2013 წ.
- Glen Dunlap, Rose Iovannone, Kelly J. Willson, Donald K. Kincaid, Phillip Strain. Prevent-Teach-Reinforce. A Standardized Model of School-Based Behavioral Intervention. 2010. Journal of Positive Behavior Intervention.
- თამარ გაგოშიძე. „ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები“. 2007
- Cooper, J. O., Heron, T. E., & Heward, W. L. (2007). Applied Behavior Analysis. (2nd ed.). Upper Saddle River, NJ: Pearson Education Inc.
- Alberto, P. A., & Troutman, A. C. (2013). Applied Behavior Analysis for Teachers. (9th edition). Upper Saddle River, NJ: Pearson Education, Inc.
- Robert G. Wahler, Vanessa Ann Vigilante, Paul S. Strand. Generalization in Child's Oppositional Behaviour Across Home and School Settings. 2004. Journal of Applied Behavior Analysis

